რუსეთის სოციალდემოკრატიული მუშათა პარტია

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ოთხშაბათი, 17 მაისი 1917 წ.

ერთობა

ფასი 7 კაპ.

„თანამედროვე აზრის" გაგრძ.

გაზეთი ღირს: მთელი წლით—15 მ., ნახევარი წლით—8 მან., 3 თვით 4 მან. 20 კ., 1 თვით—1 მ. 40 კ., ცალკე ნომერი ყველგან 7 კაპ. და საზღვარგარეთ ორჯელ მეტი. განცხადების ფასი: პირველ გვერდზე პეტიტის სტრიქონი—30 კაპ. მეოთხე გვერდზე—15 კაპ.; სამგლოვიარო განცხადება ორ საათამდე 5 მანეთი ხოლო ორის შემდეგ—6 მანეთი. ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება. დაუბეჭდავ საგაზეთო მასალა რედაქცია არ ინახავს ავტორებს უკან ვერ დაუბრუნებს და ამის შესახებ არც მიწერ—მოწერას კისრულობს

ხელის მომწერლებმა ფული შემდეგი ადრესით უნდა გამოგზავნონ: Тифлисъ почт. ящ. 199. Власію Малакіевичу Бохохадзе. სხვა ადრესით გამოგზავნილ ფულს რედაქცია ვერ მიიღებს.

რედაქციაში პირადათ მოლაპარაკება შეიძლება 10—12 ს-დე. რედაქციისა და კანტორის ადრესი: თფილისი, გოლოვინის პრ. № 12. (Тифлисъ Головинскій пр. № 12).

ტელეფონი 16—62.

№ 48 ორგანო ამიერ-კავკასიის სოციალდემოკრატიულ მუშათა ორგანიზაციებისა. № 48

გრძელდება ხელის მოწერა 1917 წლისათვის გაზეთ

ერთობა-ზე.

გაზეთი ღირს როგორც თფილისში, ისე პროვინციაში მთელი წლით 15 მანეთი, ნახევარი წლით 8 მან., სამი თვით 4 მან. 20 კაპ., ერთი თვით 1 მ. 40 კ.

გაზეთის ფასი ხელის მომწერლებმა წინდაწინ უნდა გადაიხადონ, ნისიათ არავის გაეგზავნება.

ფოსტით ხელის მომწერლებმა ფული შემდეგი ადრესით უნდა გამოგზავნონ: ТИФЛИСЪ, ПОЧТОВЫЙ ЯЩИКЪ № 199, ВЛАСІЮ МАЛАКІЕВИЧУ БОХОХАДЗЕ.

თფილისის ხელის მომწერლებმა ფული უნდა შეიტანონ კანტორა „განათლებაში" ოლღას ქუჩა, № 6.

17 მაისს, ოთხშაბათს ქალაქ თელავში ადგილობრივ სასაფლაოს ეკლესიაზე დილის 10 საათზე დანიშნულია წირვა და პანაშვიდი

გიორგი ხირსელის

სულის მოსახსენებლათ, რასაც აუწყებს ნათესავებს და ამხანაგებს განსვენებულის მეუღლე თამარ პატარა შვილები ტურკა და მზია, დედა ანნა, დები ბარბარე და ანნა და სიძე ალექ. ჩალაყაშვილი.

ჩოჩხათის საზოგადოების (გურია) სარაიონო კომიტეტი აცხადებს, რომ

ეგნატე ნინოშვილის

გარდაცვალებიდან ოცდასამი წლის შესრულების აღსანიშნავად, კვირას, მაისის 21, ეგნატეს სამშობლო სოფელ ჩანჩეთში (სად. ჯუმათთან) ეგნატეს საფლავზე მოხდება პატივსაცემი ყრილობა, რომლის დროსაც გადახდილ იქნება **სამოქალაქო პანაშვიდი** და გაიხსნება ეგნატეს სახელობის სამკითხველო.

ამისათვის ხსენებული კომიტეტი მოუწოდებს, როგორც გურიის, აგრეთვე სხვა ადგილების კომიტეტებსა და საზოგადოებათ, თავისი წარმომადგენლები გამოგზავნონ და პატივი სცენ მათთვის ტანჯულ ადამიანს.

გიორგი ნიკოლოზის ძე რცხილაძე მეუღლით გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა, ნაცნობთა და ამხანაგთ ძვარფასის მამიდაშვილის ხარკოვის უნივერსიტეტის სტუდენტის

დიმიტრი თეთრაძის

ტრაგიკულათ გარდაცვალებას.

პანაშვიდი ქაშვეთის ეკლესიაში დღეს წირვის შემდეგ.

ქ. ი. ზუბალაშვილის სახელობის ქალაქის სახალხო სახლი.

სახალხო სახ. არს. ქართ. წარმ. მმარ. წრე.

ოთხშაბათს, 17 მაისს სახ. სახ. არს. ქართ. წარმ. მმართ. წრის სცენის მოყვარეთა ფონდის გასაძლიერებლათ წარმოდგენილ იქნება:

ცხოვრების გარეშე.

დრ. 4 მოქ. პოტაპენკოსი, თარგ. ფოცხოველისა.

დასაწყისი სად. სწორეთ 8 ნახ. საათზე. ✦ ადგილების ფასი 20 კ-დან 1 მ. 49 კ-მდე. ბილეთების კასა ღიაა ყოველდღე დილის 12—2 საათამდე და სალამოს 6—8 ს-დე. შემდეგი წარმოდგენა 25 მაის. ✦✦ რეჟ. ქ. შათირიშვილი.

იყიდება შაბიამანი

ელისაბედის ქუჩა № 164 საწყობი პონდოევისა. 5—5

კვირას, 21 მაისს, დილით 11 საათზე, ხარფუხის კლუბის საზაფხულო შენობაში, მიხაილოვის პროსპექტზე № 131 დანიშნულია **თფილ. კოოპერატიულ საზოგადოება „შრომის"**

საზოგადო კრება.

განსახილველი საგნები: 1) ანგარიშის განხილვა; 2) ხარჯთ-აღრიცხვის განხილვა და დამტკიცება; 3) მიმდინარე საქმეები; 4) გამგეობის და სარ. კომისიის წევრთა არჩევნები.

სტუდენტი პეტროგრადის უნივერსიტეტისა

(ყოფილი მასწავლებელი)

ამზადებს ყველა უწყების პირველ დაწყებითი, დაბალი და საშუალო სკოლებისთვის, აგრეთვე სხვადასხვა ხარისხი და წოდებაზე. ვერა, ყაზბეგის ქუჩა, № 5.

ექიმი მ. გ. ვეფხვაძე

ტომსკის უნივერსიტეტის ვენერიულ კლინიკის ორდინატორად ნამყოფი იღებს ავადმყოფებს კანისა და ვენერიულის სნეულებით ყოველ დღე 3—5 ნახ. საათამდე, ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ, რაზიეზდის ქუჩა, № 19.

ექიმი ბ. მ. მუხაძე

იღებს სადოსტაქრო ავათმყოფთ სადამოს 5—6 საათამდე კვირა დღის გარდა, მისამართი: დიდი მთავრის ქუჩა № 67; ოფიცერთა ეკონომიურ სახ. შენობის პირდაპირ, სახ. სვანიშვილისა. **ტელეფონი № 5—77.**

გ. გ. მეგრაბიანცი

შინაგან ავათმყოფობა ჭლექისა და გულის. იღებს ახალ რენტგენის ელექტრო-წამლობის კაბინეტში გასინჯვა და წამლობა სხივებით, აგრეთვე ყოველნაირ ჭლექის წამლობა და ელექტრონით წამლობა: თავისლუშვილის, —ტიფით, დიდი სალინოიდი სპეციალური მიღება და **არსონვალის ტოკით ფილტვების ავადმყოფობისთვის, გულისთვის, არტერიოსკლეროზისთვის და აგრეთვე მაგარის ჭავების, სისხლ ნაკლებობის, უძილობის, ნევრალგიისთვის. ხერხემლის ტვინის ავათმყოფობის** ასთმის, ბუასილი, და რევმატიზმისთვის. ყოველ დღე 9—1 ს-მდე და სადამოს 5—7 ს-მდე. მისამართი: ბებუთოვის ქუჩა № 23. ტელეფონი 7—92.

ექიმი ივანე თიკანაძე

დაბრუნდა და განაახლა ავათმყოფების მიღება სადამოს 5—7 საათამდე. მისამართი-კიროჩნის ქუჩა, 18, ტელეფონი № 11—82.

ექიმი პ. ი. გვარჯალაძე

შინაგან და ბავშვთა სნეულებიანი

ავათმყოფებს მიიღებს ყოველდღე სადამოს 6—7 ს., კვირა დღის გარდა. ქსენიევის ქუჩა, № 4, სასტუმრო ვეტცელის გვერდით. ტელეფ. 15—00.

ქ უ თ ა ი ს ი

ექიმ გ. ი. გოკიელის

ელექტრონისა და სინათლის სამკურნალო კაბინეტი, შინაგანი ნერვებისა და ვენერიული ავათმყოფთათვის, ავათმყოფნი მიიღებიან დილის 9—12 საათ. და სა 6—8 დ. საათამდე

ქ. ქ უ თ ა ი ს შ ი.

ექიმი მ. ი. ჩხენკელი

იღებს **ბავშვთა** და **შინაგანი** სნეულებით ავათმყოფს ყოველ დღე, დილის 9 საათიდან —1 საათ. სადამოს 5—8 საათ. ქუთაისი, ბალახვანის ქ., მაჭრაძის სახლი.

ამიერ კავკასიის მუშათა სოც.-დემ. ორგანიზაციების მიმართ.

ამხანაგებო! დიად ისტორიულ მომენტში გვიხდება მოქმედება. რუსეთის დიდი რევოლუციის ტალღებმა ჩვენი პარტია ცხოვრების ზედა პირზე ამოაცურა და რევოლუციის ავანგარდის როლი აკისრა.

სხვანაირათ არც შეიძლებოდა მომხდარიყო. მუშათა კლასი რევოლუციის მთავარ მამოძრავებელ ძალას შეადგენს, ხოლო მისი პარტია, სოციალდემოკრატია, ამ ძალის შეგნებული გამოხატულებაა.

ეს გარემოება ჩვენს პარტიას პასუხისმგებელს ხდის რევოლუციის მსვლელობაში. ჩვენ არ შეგვიძლია, უფლება არ გვაქვს უპასუხისმგებლო ნაბიჯები გადავდგათ. რევოლუციის დამარცხება—ჩვენი დამარცხება იქნება, ხოლო მისი გამარჯვებით დაგვირგვინება—ჩვენი გამარჯვება.

რევოლუციას კი მრავალი მტერი ყავს. კონტრ-რევოლიუციონერები ნელ ნელა იკრებენ ძალას და ელიან მოხერხებულ წამს, რომ სასიკვდილო ლახვარი ჩასცხონ რევოლიუციას.

მთელი სახელმწიფო და საზოგადოებრივი ცხოვრება არეულია. ყველა დარგში კრიზისი და ქაოსია გამეფებული, საჭიროა არაჩვეულებრივი ენერგია, დიდი ორგანიზაციული მუშაობა, ძლიერი შემოქმედებითი ნიჭის გამოჩენა, რომ ყველა დაბრკოლება ძლეულ იქნას.

აქ არის სწორედ საჭირო ძლიერი პარტიული ორგანიზაცია. ის უნდა შეადგენდეს რევოლიუციის ნამდვილ ციხე-სიმაგრეს.

ამიტომ იჩქარეთ, ამხანაგებო, გაამაგროთ ადგილობრივ პარტიული ორგანიზაციები.

ეს, რასაკვირველია, არ კმარა. ცალკე ორგანიზაციებს შეერთება და საერთო ხელმძღვანელი ცენტრი ესაჭიროება. ცხოვრების მიერ წამოყენებულ თავსამტვრევ კითხვებს საერთო ძალღონით გარკვევა უნდა.

აი ამიტომ, ამიერ კავკასიის ს.-დ. მუშათა ორგანიზაციების საოლქო კომიტეტი პირველი ივნისისათვის თფილისში ყრილობას იწვევს. მან უნდა გაარჩიოს მრავალი სერიოზული საკითხი და მათ შესახებ გამოიტანოს თავისი კომპეტენტური დადგენილება. საჭიროა მათი ადგილობრივ წამოყენება და პარტიულ კრებებზე გარკვევა. ადგილობრივი ორგანიზაციები ვალდებული არიან დაუყონებლივ შეუდგენ ყრილობის სამზადისს.

ეს ჩვენი პარტიის პირველი თავისუფალი ყრილობა იქნება. ეცადეთ, რომ მან სავსებით გამოხატოს ჩვენი პარტიის სიძლიერე. დეე, ნუ დარჩება თუ გინდ მცირედი წრეც კი, რომ ამა თუ იმ სახით მონაწილეობა არ მიიღოს მომავალი ყრილობის მუშაობაში.

ემზადეთ! გაარჩიეთ დღიურ წესრიგში წამოყენებული კითხვები.

გამოიტანეთ მათ შესახებ რეზოლიუციები.

შეადგინეთ წერილობითი მოხსენებები პარტიული ორგანიზაციის მდგომარეობისა და პარტიული მუშაობის შესახებ.

დრო არ ითმენს, საჭიროა დაჩქარება!

შეუდექით დელეგატების არჩევას. თანახმათ დროებითი წესდებისა თითო დელეგატს ირჩევს პარტიული ორასი წევრი. რომელიმე ქალაქისა და მთელი მაზრის ორგანიზაციებს ნება ეძლევა საოლქო ყრილობაზე წარმომადგენელი იმ შემთხვევაშიც გაგზავნონ, როცა პარტიის წევრთა რიცხვი ორასს არ აღწევს.

არჩევნების წესრიგი თვით ადგილობრივმა ორგანიზაციამ უნდა შეიმუშაოს. სასურველია, სადაც მოსახერხებელი იქნება, პირდაპირი არჩევნების მოხდენა.

აქვე მოგვყავს საოლქო ყრილობის დღიური წესრიგი:

1. საოლქო კომიტეტის მოხსენება.
2. ჩვენი ტაქტიკა მიმდინარე მომენტში.
3. ომი და ზავი.
4. მუშათა საკითხი.
5. აგრარული საკითხი.
6. ეროვნული საკითხი.
7. დამფუძნებელი კრება.
8. ადგილობრივი თვითმართველობა (საოლქო და საერობო).
9. ლიტერატურული მოღვაწეობა.
10. სოც.-დემ. პარტიის ამიერ კავკასიის ორგანიზაციების წესდება.
11. სოც.-დემ. პარტიის გაერთიანება.
12. არჩევნები.

საოლქო კომიტეტი ამიერ კავკასიის სოციალდემოკრატიული მუშათა ორგანიზაციებისა.

ზავისაკენ.

რუსეთის დიდი რევოლიუციის ზეგავლენით საერთაშორისო დემოკრატია, ზოგიერთ ქვეყნების გამოკლებით, კვლავ ინტერნაციონალურ მოქმედებას დაუბრუნდა და ზავის ჩამოგდება პირველ რიგში წამოაყენა. ამით გაბატონებული კლასების დაპყრობით პოლიტიკას სასტიკი მესაფლავე გაუჩნდა.

დღეს მეომარ—თუ ნეიტრალურ სახელმწიფოებში არ მოიპოვება არც ერთი მუშა თუ ჭეშმარიტი დემოკრატი, რომელიც ზავის ჩამოგდებაზე არ ოცნებობდეს. ისინი დარწმუნდნენ, რომ იმპერიალისტების მიერ დაწყებულმა მსოფლიო ომმა საერთაშორისო დემოკრატია დაქანცა, საერთაშორისო მუშათა კლასი ფიზიკურათ და ეკონომიურათ გაანადგურა და მთელი მათი არსებობა საფრთხეში ჩააგდო. ამას ზედ დაერთო წარმოუდგენელი ეკონომიური კრიზისი, მთელი ცხოვრების არევ-დარევა, რომელიც ყველაზე მეტათ საგრძნობელი შეიქნა დემოკრატიისთვის.

თავისთავად საგულისხმოა, რომ ასეთი დამღუპველი პოლიტიკა ყველაზე მეტათ ინტერნაციონალურ მუშათა დემოკრატიას აღაშფოთებდა. ამას აუარებელი ფაქტები ამტკიცებს. რუსეთის მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს მიერ ზავის მოთხოვნას ცენტრალური სახელმწიფოების სოციალ-დემოკრატები გამოეხმაურა: მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს მოწოდებით მოწვეულია სტოკჰოლმის სოციალისტური სამშვიდობო კონფერენცია, რომელზედაც სხვადასხვა სახელმწიფოთა სოციალისტები ესწრებიან. ჯერჯერობით სტოკჰოლმის კონფერენციაზე დასწრების უარი განაცხადა ჰაინდმანის ფრაქციამ ინგლისში. არ არის გამორკვეული, თუ რა გზას დაადგება საფრანგეთის სოციალისტების უმრავლესობა. ბელგიის სოციალისტები ვანდერველდის მეთაურობით მომხრეა დასახელებულ სამშვიდობო კონფერენციაზე მონაწილეობის მიღების. აგრეთვე სტოკჰოლმის სამშვიდობო კონფერენციაზე დასწრების სურვილი განაცხადეს ავსტრიის, უნგრეთის, სერბიის, ბულგარეთის, იტალიის, გერმანიის (უმრავლესობამ და უმცირესობამ), საფრანგეთის (უმცირესობამ), ინგლისის (დამოუკიდებელმა მუშათა პარტიამ), შვეიცარიის, ამერიკის ყველა სოციალისტებმა, და ბოლოს რუსეთის სოციალისტებმაც.

გარდა ამისა ბერნის საერთაშორისო სოციალისტურმა კომისიამ, რომელიც კიენტალის სამშვიდობო კონფერენციის აღმასრულებელ ორგანოთ ითვლება მოწოდებით მიმართა იმ სოციალისტურ პარტიებს და ჯგუფებს, რომლებიც კი ციმერვალდ-კიენტალის დადგენილებას ემორჩილებიან და მათ მესამე სამშვიდობო კონფერენციაზე მოუხმობს.

დიახ, საერთაშორისო დემოკრატია დღეს უკვე დარაზმულია. მან თავისი ძველი ინტერნაციონალური ლოზუნგები წამოაყენა და გაბატონებულ კლასების დაპყრობით პოლიტიკას კრიჭაში ჩაუდგა. აქ მხედველობაში მისაღები არ არიან ზოგიერთ სოციალისტური პარტიების მეთაურები, რომლებიც ინტერნაციონალური ზავის ლოზუნგებს არ იზიარებენ და უანექსიო და უკონტრიბუციო ზავის ჩამოგდებას ეწინააღმდეგებიან.

დღეს, როგორც ლასალი იტყოდა, მთელი საერთაშორისო სოციალისტური დემოკრატია მასიური ინსტიქტით გამოვიდა და იგი მთელი თავის სიძლიერით ომის გათავებას მოითხოვს. ახლა პროლეტარიატი იმპერიალისტური პოლიტიკის ლიკვიდაციას შეუდგა, პირველ რიგში საგარეო პოლიტიკა დააყენა და ასე მარქსის მცნება, რომელიც საერთაშორისო მუშათა კლასს მოუწოდებდა ფხიზლათ თვალყური ედევნებია საგარეო პოლიტიკისთვის, დღეს უკვე განახორციელა.

დღეს ზავის მოციქულათ საერთაშორისო დემოკრატია გამოვიდა.

ასეთ პირობებში ბურჟუაზიული კლასების იდეოლოგთა და ზოგიერთა ფსევდო-სოციალისტების ჩხავილი ზავის წინააღმდეგ ვერას გახდება, იგი საერთაშორისო მასიურ მოძრაობის ლტოლვილებას ვერ შეაჩერებს.

იმპერიალისტურმა პოლიტიკამ თავისი წიაღიდან წარმოშვა თავისი უარმყოფელი ძალა—საერთაშორისო დემოკრატია, რომელიც უკვე შეკავშირებულათ გამოდის და დღეს თუ ხვალ ზავის ლოზუნგს სისრულეში მოიყვანს.

ზავის დაჩქარებით ჩამოგდება დღეს ხელს შეუწყობს რუსეთის დიდ რევოლიუციის გამარჯვებას და ინტერნაციონალის გაძლიერებას.

ფედერალისტები და... სოციალიზაცია მიწისა.

სოც.-რევოლიუციონერებს უკან მიყვნენ ჩვენი ფედერალისტებიც; თავიან უკანასკნელ კონფერენციაზე მათაც მიიღეს მიწის სოციალიზაცია.

ჩვენ უკვე გვქონდა შემთხვევა გაგვერკვია, რაა სოციალიზაცია; ჩვენ ვთქვით, რომ სოციალიზაციის შემოღება ნიშნავს მთელი რუსეთის ჩაჭედვას თემის, „ობშჩინის" ჩარჩოებში, რომ ეს ზომა რეაქციონურია, რადგან ცდილობს საზოგადოება დააბრუნოს უკვე დრომოჭმულ წესებისკენ.

მაგრამ რუს სოც.-რევოლიუციონერების მიერ ობშჩინის თაყვანისცემა საპატიებელი თუ არა, გასაგები მაინც არის, მისი ახსნა მაინც შეიძლება, რადგან სოც.-რევ-ბი ობშჩინურ ტრადიციებზე არიან აღზრდილნი, რადგან მათი მამათმთავრები—ჩერნიშევსკი, ლავროვი, მიხაილოვსკი—მაშინ ეტრფოდენ თემურ წესებს, როდესაც თემი გაბატონებული იყო მთელს რუსეთში. ფედერალისტებს ეს გამართლებაც არა აქვთ. მათ არავითარი თემური ტრადიციები საქართველოში არ იციან, რადგან ქართველ გლეხებს არსად არ უნახავთ თემური წესები, ყველგან საქართველოს მანძილზე მიწის კერძო საკუთრებაა დამკვიდრებული. მართალია, სადაც საინგილოში არის თემის ნასახი, თემის მსგავსება დარჩენილია მთაში, მაგრამ ქართველ გლეხკაცობის აუარებელ უმრავლესობას თემზე არავითარი წარმოდგენა არა აქვს.

და პარტია, რომელიც თავის თავს ერთადერთს ნაციონალურს პარტიას უწოდებს, რომელიც დაუღალავათ გაჰკივის ნაციონალურ ინტერესებზე, ნაციონალურ უფლებებზე, ამ პარტიას დაუდგენია შემოიღოს სრულიად უჩვეო წესები, რომლებიც საშინელს არევ-დარევას გამოიწვევს, პირდაპირ თავდაყირა დააყენებს ხალხის ცხოვრებას. სოც.-რევოლიუციონერების მხრით ეს ზომა რეაქციონურია, მაგრამ მისი ახსნაც შესაძლებელია. მაგრამ როდესაც ამავე ზომას ქადაგებენ ფედერალისტები, ეს რეაქციონერობის გარდა, უგუნურებაც არის, რადგანაც არც ისტორიაში აქვს მას ფესვები, არც დღეს აქვს რაიმე ნიადაგი, ამ ზომაში, მასთან ერთათ, ერთნაირი **სიყალბე** ისმის.

სიყალბე იმაში მდგომარეობს, რომ ფედერალისტებს ეს სოციალიზაცია თითქოს სხვა რაღაც მოსაზრებით, ძალა-უნებურათ მიუღიათ. კონფერენციაზე ამ კითხვის გარჩევის დროს გაისმოდა ერთნაირი შიში, თითქმის სინიდისის მხილება. ბევრნი გრძნობდენ, რომ სოციალიზაცია სრულიათ შეუფერებელია ქართულ გლეხთათვის. გამოითქვა ის აზრი, რომ „გლეხი კერძო საკუთრებას პატივსა სცემს", რომ გლეხი „შიშობს მემამულეებთან ერთათ ჩვენც არ ჩამოგვერთვას მიწა"; ბევრნი გრძნობდენ, რომ მიწის სოციალიზაციის ერთის ხელის დაკვრით შემოღება უგუნურებაა, რომ კითხვა რთულია, რომ საკითხს შესწავლა უნდა; ერთმა გამოსთქვა ის აზრი, რომ „საჭიროა კონფერენციამ გამოყოს სექცია, რომელიც დაწვრილებით გამოიკვლევს და შეიმუშავებს აგრარულ საკითხს"; მეორემ წინადადება შეიტანა, რომ საჭიროა „დაწვრილებით შესწავლილ იქნეს აგრარული საკითხი და გამორკვეულ იქნას ადგილობრივი პირობანი სხვადასხვა კუთხისა", მესამე პირდაპირ საფრთხეს მოელის სოციალიზაციისაგან: „იგი (ს. დადიანი) ეხება აგრარულ საკითხს აფხაზეთში, სადაც ამ საკითხს უფრო დიდი სიმწვავე სდევს, ვიდრე ეროვნულ საკითხს. ორატორი აღნიშნავს აფხაზთა და მეგრელთა მუდმივს ქიშპს მიწის გამო და ამბობს, რომ

ყველაზე მეტი საფრთხე მიწის სოციალიზაციას იქ მოელის, **რადგან ამას აფხაზთა და მეგრელთა აუცილებელი შეხლა-შემოხლა მოჰყვებაო**". ორატორი „საჭიროთ სთვლის საქართველოს სხვადასხვა პროვინციის კარგათ შესწავლას".

ვერაფერმა გაფრთხილებამ ვერ გასჭრა ფედერალისტების კონფერენციაზე. კონფერენციამ არჩია თავის მომხსენებლის ბ. ნ ალ. მდივანის კვალზე გავლა, რომ „**ჩვენ პარტიას არ შეუძლიან იარსებოს უსოციალიზაციოთო**".

უსოციალიზაციოთ არსებობა პარტიას არ შეუძლია, მაშ სოციალიზაცია იხსნის მას? ამ უბადრუკ პარტიას თავის დღეში არ უცხოვრია თავის და თავათ, დამოუკიდებლათ. როგორც კი ცხოვრების ზღვა აღელდებოდა, პარტია მუდამ ეძებდა „დამცველს" სხვადასხვა (უთუოთ უკიდურეს) პარტიებში, ხან ერთს პარტიის გემს მიაბამდა თავის დანჯღრეულს ნავს, ხან მეორისას. 1906 წლიდან მან სოც.-რევო—ბის ფრთას შეაფარა თავი და ამ პარტიის გავლენით მიიღო „სოციალიზაციას". მაგრამ რას მოუტანს მას ეს სოციალიზაცია? იმას, რომ გლეხები, რომლებიც მათ წინათაც ყურს არ უგდებდა, დღეს სულ მთლათ და საბოლოოთ ზურგს შეაქცევენ მათ. მემამულეები კი, მართალია, აქამდის ფედერალისტების მაგვარ სიმაგრეს შეადგენდენ, მაგრამ როგორც კი ფედერალისტები ხელს გაანძრევენ „სოციალიზაციის" პრაქტიკულათ განსახორციელებლათ, მემამულეებიც მიატოვებენ მათ. და დარჩებიან მარტონი „სახ. ფურცლის" თანამშრომელნი 2—3 ადვოკატითურთ. დღეს ეს ქართველი დონკიხოტები აი რა კარგ გუნებაზე არიან: „**საქართველოს ცაზე მხოლოდ ერთი პარტიაა მთლიანი, დროებით და მოძღვრებით მძლეთა მძლე პარტია, რომელსაც სოციალ-ფედერალისტთა პარტია ეწოდება**". სცადონ სოციალიზაციის განხორციელება და ისინი სხვა სიმღერას დაიმღერებენ: „დაღუპა წაბაძურობამო".

კონტრ-რევოლიუციონერები.

ძველი რეჟიმის აგენტები დრო გამოშვებით თავს იღებენ და რუსეთის სხვადასხვა ქალაქებში თუ სოფლებში ანტი-რევოლიუციონურ აგიტაციას ეწევიან. უპირველეს ყოვლისა საქმე ებრაელთა დარბევის პროპაგანდით დაიწყეს. პეტროგრადისა და მოსკოვის ყავახანებში უცნობი პირები ჯარისკაცის ტანისამოსში გამოწყობილები საჯაროთ გამოდიან და ხალხს ებრაელთა „პოგრომისკენ" მოუწოდებენ. ზოგიერთა რუსეთის სოფლებში რიტუალური საქმეებიც კი ჩაიდინეს და ამ გზით შეეცადენ მასის შეუგნებელ ნაწილში ებრაელთა წინააღმდეგ სიძულვილის გამოწვევას.

კონტრ-რევოლიუციონურ აგიტაციას ეწევიან აგრეთვე სხვადასხვა ერების წინააღმდეგ და ერთ ერს მეორეს უსევენ. ხმებს ავრცელებენ უკრაინელთა ძალმომრეობის წინააღმდეგ, განგებ ჭორებს სთხზავენ ამა თუ იმ ერის რევოლიუციონური გზით რუსეთიდან გამოყოფის შესახებ, თითქო ისინი ახლა რუსეთის დაშლა დაქუცმაცებას და განაწილებას შესდგომოდენ.

ბნელი ძალები ამით არ კმაყოფილდებიან და მათი აგენტები რევოლიუციის წინააღმდეგაც ახერხებენ ჭორების გავრცელებას, თითქოს ძველი მთავრობის დროს პიროვნების უზრუნველყოფილობა უკეთეს პირობებში იყო ჩაყენებული; თითქოს ძარცვა-გლეჯა ახლა უფრო მეტია. თითქოს სასურსათო საკითხი განგებ იყოს გამწვავებული და ხალხის გამოკვების საშუალება მოსპობილი. განსაკუთრებით უკანასკნელ მოვლენას ახალ რევოლიუციონურ მთავრობას აწერენ და იმაზე არაფერს ამბობენ, თუ ძველმა რეჟიმმა თავისი უვარგისი საგარეო იმპერიალისტური და საშინაო პოლიტიკის მეოხებით მთელი ეკონომიური ცხოვრება ისე მიანგრ-მოანგრია, რომ მისი გამოსწორება ადვილი საქმე არაა. გარდა ამისა მემამულეების მიწების დატაცება და ქალაქებში რბევა-აწიოკება. ამას წინეთ ქალაქ სარატოვში ერთმა მუჭა „პოგრომშჩიკებმა" მაღაზიები და არყის საწყობები დაამტვრიეს, გატაცებულ არყით დათვრენ და მცხოვრებთა აკლება დაიწყეს. მათ წინააღმდეგ ჯარი იქნა გაწვეული და მხოლოდ ამით აღადგინეს წესიერება.

სამწუხაროთ ხშირათ ჯარის ზოგიერთა ნაწილიც თავისი მოქმედებით კონტრ რევოლიუციონურ მოქმედების გაძლიერებას ხელს უწყობს.

დეპეშების ცნობით ქ. ცარიცინში ჯარისკაცებმა თავის დიქტატურა გამოაცხადეს, სათადარიგო ჯარისკაცთა ცოლშვილის სასარგებლოთ ქალაქს მილიონ ნახევარი გადასახადი დაადვეს.

ამ რიგათ ბნელი ძალები ყოველ საშუალებით სარგებლობენ, რომ მცხოვრებთა შორის არევ დარევა შეიტანონ და კონტრ რევოლიუციური მოძრაობისთვის ხელსაყრელი ატმოსფერა შექმნან.

უნდა აღვნიშნოთ, არ მომხდარა არც ერთი რევოლიუცია, რომელსაც ადრე თუ გვიან საწინააღმდეგო მოძრაობა არ მოყოლოდეს. ჩვეულებრივ მთავრობა ნაძირალებიდან მოქმედ რაზმებს ადგენდა და ამათ დახმარებით იმარჯვებდა რევოლიუციაზე. საფრანგეთის 1837 წლ. რევოლიუციის დროს საფრანგეთის მთავრობამ მაგ. „ლუმპენ პროლეტარებისაგან" ჯარი შეადგინა, მათ ფული და არაყი მისცა, გარყვნილი ქალები დაურიგა და რევოლიუციონერებს მიუსია. მით რევოლიუცია დაამარცხა კიდეც. ამ გზას ადგია რეაქცია რუსეთშიაც, მხოლოდ განსხვავება ისაა, რომ ახლა კონტრ-რევოლიუციონერები სახელმწიფოს ორგანიზაციულ ძალას მოკლებული არიან; მათ სათავეში მთავრობა არ უდგას და ამიტომ შეუკავშირებლათ გამოდიან. გარდა ამისა რუსეთის რევოლიუციას ამ ჟამათ მხარს უმაგრებს ძლიერი მუშათა კლასი და რევოლიუციონური არმია. აქ დღეს ძალთა განწყობილება რევოლიუციის სასარგებლოთ ლაპარაკობს და ლუმპენ პროლეტარების დაქსაქსული გამოსვლა, მათი „პოგრომული" მოქმედება რევოლიუციის გაღრმავება-გამარჯვებას საგრძნობელ ზიანს ვერ მიაყენებს, თუ მას შესაფერი ზომებით დახვდებით. რევოლიუციონურმა მუშათა კლასმა და არმიამ მოახერხა ისტორიულათ შემუშავებული და განმტკიცებული თვით-მპყრობელობის დანგრევა და მანვე უნდა შესძლოს ნაძირალების ალაგმვა.

დეპეშები.

(პეტ. დეპ. სააგ. 12 მაისი.)

სახლის პატრონების დადგენილება.

რიაზანი. ქ. რიაზანის სახლის პატრონებმა დაადგინეს აღარ გადაიხადონ საერობო გადასახადი, რადგან ის შემოსავლის 33 პროც. უდრის. ადგილობრივი გლეხები არავის ნებას არ აძლევენ ტყეების დამუშავებისას. მოსალოდნელია ქალაქები უშეშოთ დარჩეს.

თავისუფლების სესხი.

სამარა. მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოთა შეერთებულ კრებაზე მიიღეს რეზოლიუცია ისეთი, როგორც პეტროგრადში, ხელი შეუწყონ თავისუფლების სესხს, ხოლო პასუხის მგებელი შეძლებული კლასები უნდა იყვნენ.

სოფლის კომიტეტები.

სამარა. სამაზრო აღმასრულებელმა კომიტეტმა საჭიროთ სცნო მიმართოს მცხოვრებლებს გაუფრთხილდენ ერთხელ შედგენილ კომიტეტს რადგან მისი ხშირ ხშირათ გამოცვლა საქმეზე ცუდ გავლენას ახდენს.

ჯარი და სოციალისტური ლიტერატურა.

მოქმედი ჯარი. მეორე არმიის დელეგატთა სიეზდზე დაადგინეს მოაწყონ ჯარისთვის სოციალისტურ ლიტერატურის მიწოდების საქმე, აგრეთვე დაარსონ ჯარის ნაწილებში პოლიტიკური კლუბები, სკოლები და წიგნთსაცავები და მოაწყონ ლექციები. სიეზდმა ამასთანავე სურვილი გამოსთქვა გამოსცეს ნემეცურ ენაზე საგიტაციო ფურცლები ომის შესახებ და გაავრცელოს ფრონტზე მტრის ჯარში.

მოსკოვის უნივერსიტეტის რექტორი.

პეტროგრადი.—სახალხო განათლების მინისტრმა მოსკოვის უნივერსიტეტის რექტორათ დაამტკიცა ახლად არჩეული დამსახურებული პროფესორი მენზბირი.

ავსტრიის პარლამენტში.

სტოკჰოლმი. ვენიდან იტყობინებიან: იმპერატორმა ბატონთა პალატის პრეზიდენტათ ისევ დანიშნა თავ. ვინდიშგრეცი და ვიცე-პრეზიდენტებათ თავ. მაქსი ფიურსტენბერგი და თავ. ალოიზი შენბურგ-გარტენშტეინი. გარდა ამისა მესამე ვიცე პრეზიდენტათ დაინიშნა გრაფი სილვა-ტარუკი.

სინფეინერების დადგენილება.

ლონდონი. სინფეინერებმა დაადგინეს არავითარი მონაწილეობა არ მიიღონ მთავრობის თათბირში ირლანდიის შესახებ. სინფეინერების აზრით თათბირს რომ ირლანდიის სრული დამოუკიდებლობის აღიარების უფლება ჰქონდეს, დატუსაღებულ ირლანდიელებს ისეთ პირობებში ჩააყენებენ, როგორც სამხედრო ტყვეები.

გაფიცვები ფინლიანდიაში.

ჰელსინგფორსი. მთელ ფინლიანდიაში გაფიცვები ხდება. განსაკუთრებით ფართო ხასიათი მიიღო გაფიცვამ სოფლის მეურნეობაში. აქა იქ ძალმომრეობამაც იჩინა თავი. მაგალითად ბოუხიაოში, აბოში და ბიერნებურგის გუბერნიაში გაფიცულმა მიწის მუშებმა, მოსულ უმუშევრებთან ერთათ, ძალზე სცემეს და დაასახიჩრეს ხაზეინები და მათი ოჯახები, რაც იმან გამოიწვია, რომ ხაზეინებს უნდოდათ თავის ძალ ღონით დაეთესათ ყანები. მუშათა კრებებს პირდაპირ შეურიგებელი დადგენილებები გამოაქვთ. ზოგიერთი მემამულე ჰყიდის შინაურ საქონელს და მიდის ქალაქში, რადგან პირდაპირ შეუძლებელია მუშების მოთხოვნები. უმეტეს შემთხვევაში მუშებს აკმაყოფილებენ.

არყისაგან დახოცილები.

ჟიტომირი. ნოვგოროდ ვოლინსკიდან იტყობინებიან, რომ იქ ჯარისკაცებს გაუტეხიათ არყის საწყობები და საზიზღარი ქეიფი გაუმართავთ. მეტის სმისაგან რამდენიმე კაცი გარდაიცვალა.

ჩეხელ მწერალ-დეპუტატთა მოწოდება.

ციურიხი. ჩეხიის მწერალ დეპუტატებმა მოწოდება გამოუშვეს გაზეთებში, რომლითაც გმობენ ტერორს და მოითხოვენ მთელმა ევროპამ განიხილოს ჩეხიის შესახებ საკითხი, ნაციონალურ დამოუკიდებლობის დასამყარებლათ.

ხალხის თავისუფლების პარტიის ცენტრალური კომიტეტი.

პეტროგრადი. ხალხის თავისუფლების პარტიამ სიეზდზე აირჩია ცენტრალური კომიტეტი. აირჩიეს ყველა ძველები და მათ შორის ნეკრასოვიც.

რიბოს სიტყვა.

პარიზი. საფრანგეთის დეპუტატთა პალატაში რიბომ ვრცელი სიტყვა წარმოსთქვა. თითქმის მთელი სიტყვა შეეხებოდა რუსეთის რევოლიუციას და რუსეთის დროებითი მთავრობის შეხედულებას ომსა და ზავზე. მან სიხარულით აღნიშნა, რომ ეხლანდელ მთავრობას შეუძლია სახელმწიფოს საქმეს წინ გაუძღვეს და დაიცვას ჯარში დისციპლინა. იმის დასამტკიცებლათ, რომ რუსეთს თავის დღეში განზრახვა არ ჰქონია სეპარატიულ ზავის ჩამოგდების, რიბო აცნობს პალატას რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის ტერეშჩენკოს დეპეშას. ზავის შესახებ როგორც რუსეთს ისე საფრანგეთს ერთგვარი შეხედულება აქვს. ზავი ერთა თვითგამორკვევის ნიადაგზე. პალატა აღტაცებით შეხვდა რიბოს სიტყვას.

ექიმთა გაწვევა.

პეტროგრადი. შინაგან საქმეთა სამინისტრომ გუბერნიის კომისარებს მისწერა 1) რომ ის ექიმებმა, რომლებსაც 1 იანვარს 1917 წელს არ შესრულებიათ 50 წელი, 25 მაისამდე მიაწოდონ საგუბერნიო სამხედრო საკრებულოებს ცნობები თავის შესახებ. 2) დაუყონებლივ, სულ ახლა შეამოწმონ ეს ექიმები და ჩარიცხონ სანიტარულ უწყებაში. ის ექიმები, რომლებსაც ეხლა საპასუხისმგებლო ადგილი უჭირავთ, შეიძლება იმავ ადგილებზე დარჩენ.

მიწების დატაცება.

პოლტავა. მთელ მაზრაში გახშირდა მიწების დატაცება. დაზარალებულებს სამაზრო კომიტეტი ეხმარებიან. რადგან ქალაქში დიდი უწესოება ხდება, დაადგინეს დროებით აკრძალონ ასანთებ (დენატუროვანი) სპირტის გაყიდვა.

რექტორის არჩევა.

კიევი. უნივერსიტეტის რექტორათ აირჩიეს პროფესორი ციტოვიჩი.

გაფიცვა.

კიევი. ბეჭვდითი საქმის მუშათა გაფიცვა გრძელდება. სტამბის პატრონებმა შეუძლებლათ სცნეს მათი მოთხოვნილების დაკმაყოფილება.

რკინის გზის ბილეთებს აძვირებენ.

პეტროგრადი ფინანსთა მინისტრმა პროექტი წარუდგინა მთავრობას, რომლითაც ის წინადადებას აძლევს, რომ დროებით რკინის გზის ბილეთებზე გადასახადი 50% გაადიდონ. პროექტი ძალაში შევა გამოცხადებიდან სამი კვირის შემდეგ.

სასურსათო სიეზდი.

პეტროგრადი. სასურსათო სიეზდის საორგანიზაციო ბიურო საზოგადოებრივ ორგანიზაციებს მიმართავს გამოგზავნონ ორ ორი წარმომადგენელი სიეზდზე დასასწრებლათ.

ქალთა სამედიცინო ინსტიტუტი.

პეტროგრადი. სახალხო განათლების სამინისტრომ ნება დართო ყაზანში ქალთა უმაღლეს კურსების მომწყობ საზოგადოებას, გახსნას იქ ქალთა სამედიცინო ინსტიტუტი, სადაც მამაკაცთაც უნდა მიეცეთ შესვლის უფლება.

წერეთელი და სკობელევი მუშათა და ჯარის კაცთა დეპუტატების საბჭოში.

პეტროგრადი. სამინისტროში არჩევის შემდეგ წერეთელმა და სკობელევმა პირველათ მისცეს ანგარიში თავიანთ მოქმედების შესახებ პეტროგრადის მუშათა და ჯარის კაცთა დეპუტატების საბჭოს. წერეთელი უმთავრესათ შეეხო საგარეო პოლიტიკის და ზავის და ომის საკითხს და დაბეჯითებით სთქვა, რომ ზავისა და ომის საკითხის შესახებ თითქმის ყველა მოკავშირეები იმ ლოზუნგის მომხრენი არიან, რომელიც რუსეთის დემოკრატიამ წამოაყენა. სკობელევი შეეხო შრომის სამინისტროს მოწყობის საქმეს და იმედი გამოსთქვა, რომ ეს სამინისტრო მომავალში სასურველათ მოეწყობა და დიდ სარგებლობას მოუტანს მუშათა კლასს.

ვანდერველდეს სიტყვა.

პეტროგრადი. გლეხთა სიეზდზე ბელგიის მინისტრმა ვანდერველდემ ვრცელი სიტყვა წარმოსთქვა და სავსებით დაასურათა ბელგიელთა უმწეო მდგომარეობა.

ომის დეპეშები.

(პ. დეპ. სააგ.)

პეტროგრადი. 15 მაისი. **დასავლეთის ასპარეზზე და რუმინიის ფრონტზე** ჩვეულებრივი სროლაა.

კავკასიის ფრონტზე, ვანის სამხრეთით მტრის იერიშები მოვიგერიეთ.

ჰაეროპლანების მოქმედება.

კაფინცას ჩრდილო-დასავლეთით მოწინააღმდეგების ჰაეროპლანებმა 12 ყუმბარა ჩამოაგდეს.

პარიზი. 13 მაისი. შმენ-დე-დაბის მიმართულებით მტერმა საარტილერიო სროლა განაცხოველა. ჩვენი ბატარეები მხნეთ უპასუხებდენ. სერნის დასავლეთით გერმანელებმა უშედეგო იერიშები მიიტანეს.

შამპანში, კორნილიეს რაიონში წინ წავიწიეთ. აქ ტყვეთ წამოვიყვანეთ 120 ჯარის კაცი.

ფლანდრიის ნაპირებთან ჩვენს ნაღმოსნებს მოულოდნელათ თავს დაესხნენ მტრის კონტრ ნაღმოსნები და ბრძოლა გაიმართა. კონტრ ნაღმოსნის „ბუკლიეს" ლეიტენანტი და ზოგიერთა აფიცრები სასიკვდილოთ დაიჭრენ. მალე მაშველი ნაღმოსნები მოვიდენ და მტრის სამხედრო გემები იძულებული გახდენ უკან დაბრუნებულიყვნენ.

ლონდონი. 13 მაისი. ლაკრაუზელის ფრონტზე ჩვენმა ჯარმა ოდნავ წინ წაიწია. ვეის ჰოოტეს ჩრდილო-დასავლეთით ჩვენმა ჰაეროპლანებმა ყუმბარები ჩაყარეს. გარდა ამისა აქვე ჩამოვაგდეთ მტრის ხუთი ჰაეროპლანი.

რომი. 13 მაისი. კარსოს რაიონში სასტიკი საარტილერიო ბრძოლა გრძელდება. აქ ჩვენმა ჯარმა გამაგრებული პოზიციები დაიკავა და ტყვეთ 3,500 ჯარისკაცი წამოიყვანა. მდ. ტიმავოს ნაპირებთან, ბოსკო მალოს აღმოსავლეთით „220" მაღლობი დავიკავეთ. კარსოს ჩრდილოეთით მხოლოდ საარტილერიო სროლაა. ტივარლის ჩრდილოეთით ჩვენი პოზიციები „174" მაღლობამდის გავაფართოვეთ. ვოდიჩეს მიდამოებში ბრძოლა სწარმოებს. აქ მტერი ყოველ საშუალებას ხმარობს „652" მაღლობი დაგვატოვებიოს, მაგრამ ჩვენი ჯარის მედგარი ბრძოლის მეოხებით დასახელებული სიმაღლე შევინარჩუნეთ. პლავის რაიონში კვლავ წინ წავიწიეთ. იულის ალპების ფრონტზე პირველ მაისიდან ტყვეთ წამოვიყვანეთ მტრის 22,419 ჯარისკაცი და 487 აფიცერი.

დეპეშა.

(საკ. კორ.)

ხმები გავრცელდა, თითქოს 14 მაისს სურამში მომხდარ უწესოების გამომწვევი სოც.-დემ. და სოც.-ფედ. ყოფილიყვნენ. ეს ხმები ყოველ საფუძველს მოკლებულია. ნამდვილათ 14 მაისს ადგილობრივ აღმასრულებელ კომიტეტის წინააღმდეგ გამოილაშქრეს. ეს გამოსვლა ხულიგანური იყო. აღმასრულებელ კომიტეტში ყველა პარტიების წარმომადგენლები თანხმობით მუშაობენ.

კომიტ. თავმჯდ. ალ. მდივანი;
წევრი: კ. ნინიძე.

ახალი ამბები

სარიყამიშიდან დეპეშით გვატყობინებენ: ადგილობრივმა აღმასრულებელმა კომიტეტმა აღმოაჩინა მთელი ჯგუფი ყაჩაღებისა და პროვოკატორებისა. ნაწილი უკვე შეიპყრეს, დანარჩენების დასაჭერათ ზომებია მიღებული. 13 მაისს საღამოს 8 საათზე გაძარცვეს გამოქცეულების კასა, წაიღეს 15 ათასი მან. ყაჩაღები მიიმალენ.

◆ **სახალხო სახლი.** დღეს საღამოს სახ. სახლ. არს. ქართ. წარმ. მმართ. წრის მიერ წრის სცენისმოყვარეთა ფონდის გასაძლიერებლათ წარმოდგენილი იქნება: „ცხოვრების გარეშე" ადგილების ფასი 1 მ.—49 კ.—20-მდე. დასაწყისი საღამოს 8 ნახ. საათზე.

◆ 14 მაისს კვირას 4 საათზე ნაძალადევის თეატრში წაიკითხა ლექცია კოალიციურ მთავრობაზე ამხ. თ. კიკვაძემ. გაიმართა კამათი. გამოიტანეს შემდეგი რეზოლიუცია: გამოეცხადოს სრული ნდობა იმ სოციალისტებს) რომლებიც შედიან დროებით მთავრობაში, მანამ ისინი არ გადადგამენ შეცდარ ნაბიჯს. კრებას დაესწრო 400-მდე მუშა. შემდეგი ლექცია დანიშნულია ზემოხსენებულ შენობაში კვირას 21 მაისს 4 საათ. სოციალ-დემოკრატიულ პროგრამა მინიმუმზე.

◆ ხუთშაბათს შესდგა მე-11 უბნის სასურსათო კომიტეტის კრება. დაადგინეს: 1, მოიწვიონ მეფურნეების და მეპურეების კრება სადაც უნდა გადასწყვიტონ, რომ პური ცხვებოდეს ღამღამობით როგორც მშვიდობიანობის დროს; 2) შეადგინონ ყველა უბნებში კომისიები, რომლებსაც დაევალება დახმარონ კომიტეტს და თვალყური ადევნონ როგორც პური ისე სხვა სანოვაგე იყიდებოდეს ნიხრის თანახმათ. რადგანაც მამაკაცები დღისით სამუშაოთ არიან, ამიტომ კომისიებში უმრავლესობა ქალები აირჩიონ.

◆ **ბაქოს ნავთის წარმოებებში** მომუშავეთა და მეწარმოებელთა შორის მომხდარ უკმაყოფილებათა მოსაწესრიგებლათ ამიერ კავკასიის საგანგებო კომიტეტმა თავის რწმუნებულათ ისიდორე რამიშვილი გაგზავნა.

◆ ფურნის პატრონთა და მომუშავეთა შორის ამტყდარ უკმაყოფილებათა მოწესრიგება გადაეცა ცენტრალურ მომრიგებელ კამერას.

◆ 15 აპრილს, „წითელი ყვავილის" დღეს შემოწირულებებით შეგროვდა სულ 16866 მ. 7 კაპ. დაიხარჯა 697 მ. 7 კ. წმინდა შემოსავალი, რომლის ნახევარი დანიშნულია სალდათების პირველ მაისის საჩუქრებისათვის, დარჩა 16169 მ. მუშათა და ჯ.-კაცთა დეპუტატების აღმასრულებელი კომიტეტები მადლობას უცხადებენ ყველას, ვინც მონაწილეობა მიიღო ფულის შეკრებაში.

◆ სართიჭალის სარაიონო გლეხთა საბჭო სთხოვს რაიონის გლეხთა საბჭოებს აღმოუჩინონ მას ფულით დახმარება; საჭიროა ბინის, კანცელარიის და სხ. და სხ. საგნების შეძენა. სარაიონო გლეხთა საბჭო თავის მხრივ არ დაზოგავს ენერგიას და შეასრულებს თავის მოვალეობას. 14 მაისს არჩეულ იქმნა კომისარიატი.

◆ **ახალი პროფესიონალური კავშირი.** კვირას 14 მაისს, ავლაბრის მურაშკოვსკის თეატრში მოხდა საზოგადო კრება თფილისის ქალაქის სასალახოს მუშების პროფესიონალური კავშირისა. ს. თურმანიძის თავმჯდომარეობით. კრებას დაესწრო ას წევრზე მეტი. კრებამ განიხილა და დაამტკიცა შესწორებებით კავშირის წესდების პროექტი, რომელიც გამოიმუშავა [illegible] საორგანიზაციო კრებაზე არჩეულმა კომისიამ, მოახდინა კავშირის წევრთა რეგისტრაცია და შემდეგ აირჩია გამგეობისა და სარევიზიო კომისიის წევრები.

◆ მწარე ცრემლებით ვსტირით ტრაგიკულათ საომარ ველზე დაღუპულ ვანო დუმბაძეს. მამა და გრიშა.

◆ ქალაქ ფოთის აღმასრულებელი კომიტეტის დადგენილებით 30 აპრილიდან ქ. ფოთიდან გადასახლებულ იქმნა დ. ოჩამჩირეში სპეკულიაციის გულისათვის კავკასიის ბანკის წარმომადგენელი გ. ი. ხოჯაშვილი.

◆ **დაკარგული ბავშვი.** ჩემი შვილი, ზაქარია გოლაშვილი, მსახურობდა ივანე ბეჟანოვთან, პირველ მარტს გაეგზავნათ პურის სასყიდლათ. მერე არ დაბრუნებულა. ცამეტი წლისაა, ქერაა. ვთხოვთ ყველას თუ ვინმე იცის იმის ბინა ან სად იმყოფება შემატყობინეთ 12 პოლიციის ქუჩა სახლი № 35.

◆ გორის მაზრის კომისარი კაპიტანი ოქოევი ა. ჩხენკელს დეპეშით შემდეგს ატყობინებს: ტიფით ავათმყოფობამ გორის მაზრაში, საშიშარ ხასიათს იღებს, სწრაფათ ვრცელდება და ერთი სოფლიდან მეორეში გადადის. რადგან საკმარისი ექიმები არ გვყავს გთხოვთ მიიღოთ განსაკუთრებული ზომები.

კრებები და მიტინგები.

ახალგაზრდა მარქსისტ ამხანაგების მეთაოსნე ჯგუფი სთხოვს დაესწრონ კრებას 18 მაისს საღამოს 6 ნახევარ საათზე პირველ სავაჟო გიმნაზიის შენობაში. კრების მიზანია მარქსისტული ლიტერატურის გამოცემისა და გავრცელების საქმის მოწყობა.

— ოთხშაბათს, 17 მაისს საღამოს 5 საათზე ავლაბრის საზამთრო შენობაში (კახეთის ქ.) წაიკითხავენ ლექციას ქართულ ენაზე. თემა: რუსეთის სოც. დემ. მუშათა პარტიის პროგრამა.

— კვირას, 21 მაისს რეალურ სასწავლებელში ყოფილი მეორე სახ. დუმის წევრი ა. ზურაბოვი წაიკითხავს ლექციას შემდეგ თემაზე: სამინისტროს კრიზისი და ახალი მიზნები დემოკრატიისა. ლექცია დაიწყება საღამოს 8 საათზე.

— დღეს, ოთხშაბათს 17 მაისს პროპაგანდისტთა კოლეგიის სემინარიაში ტერ-ანდრიასიანი წაიკითხავს მოხსენებას შემდეგ თემაზე: კლასთა ბრძოლა. დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

— დღესვე თუმანოვი წაიკითხავს ლექციას პროპაგანდისტთა კურსებზე მესამე ქალების გიმნაზიაში თემა: პროგრამა მინიმუმი.

— ხუთშაბათს 18 მაისს საღამოს 6 საათზე მესამე საქალებო გიმნაზიაში (ველიკოკნიაჟესკაია) შესდგება არაჩვეულებრივი სხდომა მუშათა საბჭოს დეპუტატებისა. უნდა გამოიმუშაონ წესრიგი კავკასიის საოლქო მუშათა და გლეხთა საბჭოების დეპუტატების ყრილობისათვის. დღის წეს-რიგი: მუშათა საკითხი, მიწის საკითხი და სასურსათო საკითხი.

კახეთის კავშირის რწმუნებულ. კრება.

30 აპრილს შესდგა აღნიშნული კავშირის რწმუნებულთა კრება ლ. გოგნიაშვილის თავმჯდომარეობით. კრებას 50 რწმუნებული დაესწრო. დაამტკიცეს წარსული წლის ანგარიში და აგრეთვე მომავალ წლის ხარჯთ აღრიცხვა. დამოკიდებულობას ამწვავებს ლუკაშვილის გადაყენების საკითხი. ქიზიყელები მოითხოვდენ ლუკაშვილის გადაყენებას, თელაველები დარჩენას. ორჯელ ხდება ფარული კენჭისყრა. სიღნაღლელები იმარჯვებენ და ლუკაშვილს აშავებენ. მის მოადგილეთ გაჰყავთ ხატის კაცი. ირჩევენ ახალ საბჭოს, რომელშიაც შედიან კ. ტყავაძე, მ. ახმეტელოვი და ვ. პაატაშვილი. პირველ ხანებში ზოგიერთებს გადაჭარბებულათ ეჩვენებოდათ ქიზიყელების საქციელი და ეჭვები ეპარებოდათ, მაგრამ ეს ეჭვები გაფანტეს მათ—შესაფერი კანდიდატის წამოყენებით. იმედია ამის შემდეგ მოისპობა ქიზიყელების და თელაველების შორის ყოველივე უთანხმოება.

სოსო მაჭავარიანი.

პროვინციის ქრონიკა.

ს. ჩიბათი (გურია). ჩიბათში შესდგა „დრამატიული საზოგადოების გამგეობა" ხალხის მიერ არჩეული, რომელთა მიზანია მართონ სისტემატიურად წარმოდგენები ადგილობრივ სკოლის შენობაში, სანამ სახლს შეიძენდნენ.

— დასაფლავების დროს ქელეხი თითქმის სრულიად მოსპეს და სამაგიეროდ სურვილის შეძლების დაგვარად ეწევიან სხვადასხვა კულტურულ დაწესებულებებს მაგალითად: ესე საბას ძე ჩახვაძემ ომში გარდაცვლილ ძმის შვილის სახსოვრად ორასი მანეთი შესწირა გომახურის ორ-კლასიან სკოლას. კოსტა სურგულაძემ მამა მისის სახსოვრად ოცდახუთი მანეთი შესწირა სახალხო სახლის ფონდს.

ს. შემოქმედი. (გურია). 4 მაისს ადგილობრივ ორკლასიან შენობაში მოხდა აგარაკ „ნაფოცხვარას" კოოპერატიული დუქნის „იმედის" წევრთა წინასწარი კრება. სარევიზიო კომისიის მოხსენებიდან გამოირკვა, რომ საამხანაგო დუქანს 1916 წ. არენდებისა და საწევრო გადასახადებიდან შემოსავალი ჰქონია 289 მ. 25 კაპ. ხარჯები 14 მ. 40 კ. წმინდა მოსავლი 274 მან. 85 კაპ. დიდი ხნის მსჯელობის შემდეგ, რაიც გამოიწვია სურსათის საკითხმა, გადაწყდა, რომ რადგან სურსათის შოვნა (განსაკუთრებით პურისა და შაქრისა) ცოტათ თუ ბევრათ შესაძლებელი არის, რის მოგვარებაც მიანდვეს შემოქმედის კოოპერატივის გამგეს ი. სიმონიშვილს, გადაწყდა რომ 1917 წ. გაიხსნას სეზონი აგარაკის, რაიც უნდა ეცნობოს ხალხს როგორც პრესით ისე განცხადებებით. საამ-

ნაგო დუქნის შესახებ კრებამ გამ სთქვა ილი, რომ დუქანი, როგორც საამხანაგო წესებულება, აწარმოვოს გამგეობამ დამ- 4 ნოქრის საშუალებით, რომლებიც ნებიან მათ კანტროლს ქვეშ. მიმოსვლის სახებ კრებამ გამოიტანა შემდეგი რეზოლუცია: მთის გზა, როგორც ჩვენი ჩალანდრების აგრეთვე აქაურებისთვისაცაა, ამიტომ მის გაკეთებაში მონაწილეობა მიიღონ ყველა მოჩალანდრეებმა. ამასთანავე დახმარება სთხოვონ აგარაკ „ნაფოცხვარისა“ სახლის პატრონებმა.

ბაკურიანი. ბაკურიანის ტყეში ყაჩაღთა ბრბო დათარეშობს, რომელიც გამვლელთ მგზავრებს არ აძლევს, სცარცვავს და აწიოკებს. ამ დღეებში ამ ბრბომ გაძარცვა ბაკურიანიდან ახალ-ქალაქში მომავალი შვიდი მგზავრი. არაფერი შეარჩინეს არც მგზავრებს და არც მეეტლეთ, არც ფული და არც ტანისამოსი, ყველაფერი წაართვეს და ასე ტიტველ-შიშველი დასტოვეს. მგზავრების სიტყვით, ყაჩაღები მთლათ ოსები არიან, ისეთნაირად გაკადნიერდენ, რომ „ოტპუსკში“ მომავალ ჯარისკაცებსაც კი უხვდებიან და ძარცვავენ. მათის შიშით ბაკურიან—ახალქალაქის შარა-გზაზე ეხლა ვერავის გაუვლია. საჭიროა ღონისძიება იქმნას მიღებული ამ ნაძირალ ვაჟბატონების ალაგმვათ.

ბათომი. პირველი რაიონი. შესდგა ს. ფერიის დემოკრატიული კრება. თავმჯდომარეთ აირჩია ს პ. გიორგაძე, მდივნათ მასწ. მოის ტრაფეშვილის ასული. კრების საგანი იყო ჩაის პლანტაციებზე მომუშავე ქალთა პროფესიონალური კავშირის დაარსება. კრებამ სურვილი გამოსთქვა, რაც შეიძლება მალე დაარსდეს ასეთი კავშირი. შემდეგ მსჯელობა იქონია არაყით მოვაჭრეებზე. და დაადგინეს: ეცნობოს ეს ყველა მახლობელ ორგანიზაციებს და ეთხოვოს მათ რაიმე ზომების მიღება მათ წინააღმდეგ.

ს. აბიდათი. (სამეგრელო) აქ მოხდა აღმასრულებელ კომიტეტის რეორგანიზაცია. აირჩიეს 10 კაცი. ასეთივე არჩევნები მოხდა ს. ბანძაში. ორივე ადგილას სოც.-დემოკრატები აირჩიეს.

ხოფ. ახალ-სახტარი. ამ სამი თვის წინეთ აქ გავხსენით ბიბლ.-სამკითხველო. ჰყავს 60-მდე წევრი, 400 მანეთი მოწოდებით მოგროვდა. გამოუწერეს თითო წლით გაზ. „ერთობა“, „სოციალ დემოკრატი“ და „ეშმაკის მათრახი“.

— 29 აპრილს სამკითხველოს გამგეობის ინიციატორობით ბათუმის სცენის მოყვარეთა მიერ აქ დაიდგა პიესა „სოფლის გმირები“ და „უბედური დღე“.

შემოვიდა 215 მან. დანახარჯი 105 მანეთი. ასე რომ სამკითხველოს დარჩა 110 მანეთი. სამკითხველოს გამგეობა უძღვნის მადლობას უცხადებს ბათუმის სცენის მოყვარეებს უსასყიდლო დახმარებისათვის.

ნოვოროსიისკი. 4 მაისს ნოვოროსიისკში მოხდა სამხედრო პირთა მიტინგი. მხედრობის გარდა მიტინგს ბევრი მუშაც დაესწრო. ილაპარაკეს აფიცრებმა, ჯარისკაცებმა და მუშებმა დღევანდელ მდგომარეობის შესახებ. მიტინგმა დიდხანს გასტანა და ხალხი მეტათ კმაყოფილი დაიშალა.

დ. სამტრედია. 6 მაისს, საღამოს, დ. სამტრედიაში ბნელი ძალების ჩაგონებით ჯარისკაცთა პატარა ჯგუფმა და სხვებმაც ფედერალისტების კლუბს მოხსნეს დროშა, გაჩხრიკეს ბიურო და უნდოდათ დარბევა, მაგრამ ზომები დროზე იქნა მიღებული და წესიერება აღადგინეს. დროშა გადაეცა მუშათა და ჯარისკაცთა საბჭოს. ორშაბათს, 8 მაისს შესდგა სამტრედიის მუშათა და ჯარისკაცთა საბჭოს არაჩვეულებრივი კრება ზემოთ ხსენებულ ამბების გამოსარკვევათ. კრებაზე იყვნენ ს.-დ., ს.-რ. და ს.-ფ. წარმომადგენლები. ბრბოს ხელმძღვანელების ვინაობის გამოსარკვევათ იქნა არჩეული ხუთი კაცისაგან შემდგარი კომისია, რომელშიაც შედიან ჯარისკაცებიც.

სურამი. სურამიდან ჩამოსულმა კაცმა გვიამბო სურამში მომხდარ სამწუხარო ამბის შესახებ შემდეგი: კვირა დილას ვაჭრების თაოსნობით და გ. შალიბაშვილის წინამძღოლობით კანცელარიას მოადგა ხალხი და მოითხოვა კომიტეტის ახალი არჩევნები. შემთხვევით იქ მყოფმა კომიტეტის წევრმა კ. ნინიძემ ხალხს განმარტებით მიმართა და წაუკითხა მთავრობის ცირკულიარი, მაგრამ ეს მას აღარ დასცალდა და ყვირილი იწყეს, მილიციონერები წინ წამოდგენ, ხალხს ეგონა სროლა უნდათო და მაშინვე ეცენ მათ და იარაღი ჩამოართვეს. კომიტეტის წევრს ლომინაძეს (სოც. ფედ.) თავი გაუტეხეს და ნინიძეს სცემეს. ამის შემდეგ იქ მყოფ გლეხებმა კრებას თავი დაანებეს და იმ ადგილს განშორდნენ, ვაჭრებმა კი გ. შალიბაშვილის თავმჯდომარეობით კრება განაგრძეს. აღელვება მაინც გრძელდებოდა, რომ ამ დროს შემთხვევით მოსულმა ა. მდივანმა ხალხს განუმარტა, რომ ასეთი უწესოება არა სასურველია, გლეხებიც შეგროვდენ მის ლაპარაკზე და კრებამ წყნარი მიმდინარეობა მიიღო. ამის შემდეგ ილაპარაკა ნინიძემ და შეგროვილმა ხალხმაც თანხმობა გამოუცხადა მის მოსაზრებებს.

პატარა ხნის შემდეგ ხაშურიდან ამოსულმა ჯარის კაცებმა დაატყვევეს გ. შალიბაშვილი და ხუთიოდე ვაჭარი ამ უწესობის მომხდენთა მეთაური და გორის სატუსაღოში გაგზავნეს.

ამ სამწუხარო მოვლენაში პარტიულ უთანხმოებებს არაფერი ადგილი არა ჰქონია.

ჯულფა-ბაქოს რკინის გზის მუშა-მოსამსახურეთა წარმომადგენლების სიეზდი თფილისში.

მეორე კრება იხსნება ორ მაისს დილის 10 ს. 12 წუთზე. თავმჯდომარეობს ინჟინერი ოტესინი. კითხვა ისმება: რა უწოდონ ამ კრებას სახელათ. ამ კითხვამ დიდი კამათი გამოიწვია. კრებაზე ორმა მიმდინარეობამ იჩინა თავი. მუშათა წარმომადგენელი პატარქალაშვილი ამბობს: რადგანაც არ არიან ყოველი „უჩასტკიდან“ მუშათა წარმომადგენლები, ამ ტომ კრებას არ შეიძლება ეწოდოს მუშა მოსამსახურეთა წარმომადგენლების სიეზდი.

გ. ბერიძე ამბობს, ჯულფა-ბაქოს გზაზე უმთავრესათ სპარსელები მუშაობენ, რომლებიც არც კი მიიღებდენ მონაწილეობას ამ სიეზდზე.

გრიგორიევი. მიუხედავათ იმისა, რომ ყოველი კუთხიდან აქ არ არიან მუშების წარმომადგენლები, რაც ინიციატორების ბრალია, კრებას უნდა ეწოდოს მუშა-მოსამსახურეთა წარმომადგენლების სიეზდი.

საბლინი. მე წინააღმდეგი ვარ ეწოდოს მუშა-მოსამსახურეთა სიეზდი. აქ ჩვენ მარტო კანტორის მოსამსახურეებს ვხედავთ.

ბაქოს კანტორის წარმომადგენელი **კასტინინი.** რაც უნდა ბევრი ვილაპარაკოთ ჭეშმარიტებას ვერ დავფარავთ. შეუგნებელი მასა ნებას არ მოგვცემს მათი სახელით ვილაპარაკოთ.

დობროსერდოვი. ტყუილია ის შეხედულება, ვითომც მასა მხარს არ დაგვიჭერს. ვისაც კი ქონია მუშებთან საქმე, ის მიხვდება ჩემი სიტყვების სიმართლეს.

თავმჯდომარე **ოტესინი.** ჩემის აზრით, რაკი მუშათა წარმომადგენლებიც ღებულობენ მონაწილეობას, კრებას ვუწოდოთ ჯულფა-ბაქოს მუშა-მოსამსახურეთა დელეგატების სიეზდი, რადგანაც ინტერესები მუშებისა და მოსამსახურეების არაფრით არ განსხვავდება.

ი. ყაჭიშვილი. ლაპარაკი იმაზე, რომ რუსეთის რევოლიუციის მებაირახტრე მუშათა და ჯარისკაცთა შეერთებული ძალაა და ამავე ძალამ უნდა დაასამაროს ყოველივე ნაშთები რეაქციონური წესწყობილების, ეს არავისთვის სადაო არ არის, მხოლოდ კონკრეტულათ დგას კითხვა ჩვენს წინაშე რა უწოდოთ ამ კრებას სახელათ. ამის გასაგებათ საჭიროა ვიცოდეთ ვის რამდენი წარმომადგენელი ჰყავს. აქ კრებამ ერთხმათ მიიღო ეს წინადადება. გამოირკვა დაახლოვებით შემდეგი: სულ ჯულფა ბაქოს გზაზე არის 22,000 კაცი, ამათგან არჩევნებში მონაწილეობა მიუღია 1000 კაცს, მოსამსახურენი არიან 650 კაცი, სულ 18 წარმომადგენელი აურჩევიათ, ამათში მუშათა წარმომადგენელია მხოლოდ ექვსი კაცი. კრებამ ერთხმათ დაადგინა: ეწოდოს ამ კრებას ჯულფა-ბაქოს მუშა-მოსამსახურეთა საორგანიზაციო სიეზდი, რომელმაც უნდა აირჩიოს ბიურო ახლო მომავალ საერთო სიეზდის მოსაწვევათ—შემდეგ კრება გადადის მორიგ კითხვებზე: **მუშა მოსამსახურეთა შეკავშირება.** მოკლე თათბირის შემდეგ ერთხმათ დაადგინეს დაუყონებლივ შედგენილი იქნას მუშა მოსამსახურეთა აღმასრულებელი კომიტეტი იმ „უჩასტკებში“, სადაც არ არის ასეთი. ამისათვის გაგზავნილ იქნას ამა თუ იმ ორგანიზაციის მიერ წარმოდგენილი პირი, რომელსაც დაამტკიცებს თფილისის ცენტრალური მუშათა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი და კომისარიატი. კრება დაიშალა საღამოს ექვს საათზე. **კვესი.**

კავკასიის ჯარის დელეგატთა სიეზდი.

(მე 15 დღე, 13 მაისი).

თავმჯდომარეობს **ამხ. გეგეჭკორი.** სოც.-ფედ. დეპეშით სალამს უძღვნიან სიეზდს აგრარულ რეზოლიუციის მიღების გამო.

დღიურ წესრიგში დგას საექიმო—სანიტარული საკითხი.

ექ. ტოპორკოვის მოხსენებიდან ირკვევა, რომ ჯარი საექიმო-სანიტარულის მხრით მეტათ უნუგეშო მდგომარეობაში ყოფილა. ჯარის სანიტარული მდგომარეობა სავსებით დამოკიდებულია მის სურსათითა და საჭირო მასალით უზრუნველ ყოფაზე. საჭიროა სანიტარული დისციპლინა, ჯარის კაცებს არავითარი წარმოდგენა არა აქვთ ჰიგიენაზე, საჭიროა ფართოთ მოეწყოს საუბარი ჰიგიენაზე ჯარისკაცთა შორისო.

ჯარის სანიტარულ მდგომარეობას შესახებ სიეზდმა ერთხმათ მიიღო ტოპორკოვის რეზოლიუცია.

მთელი რიგი დამატების მაგ. ყველა ავტომობილების რეკვიზიცია ევაკუაციის საჭიროებათათვის, არავითარი განსხვავება არ უნდა იყოს ავათმყოფ ჯარისკაცებსა და აფიცრებს შორის საწოლებისა და საჭმლის მხრით, სასურველია მოწყალების დები უფრო სინიდისიერათ ასრულებდენ თავიანთ მოვალეობას გაწვეულ იქნას ყველა ბერ-მონაზონი სანიტარულ ძალთა შესავსებათ, გაუმჯობესებულ იქნას ექიმებისა და მოწყალე დების დამოკიდებულება ჯარისკაცებისადმი და სხ., გადაეცეს განსახილველათ სამხედრო სანიტარულ საბჭოს.

საექიმო პერსონალის შემადგენლობის შესახებ მომხსენებელი **ექ. ნინუა,** აღნიშნავს საექიმო ძალთა არა სასურველათ განაწილებას პროტექციონიზმის წყალობით, საექიმო ძალთა სრულ მობილიზაციის საჭიროებას სქესის განურჩევლათ. ზურგისა და ფრონტის საექიმო პერსონალთა ადგილების გაცვლის საჭიროებას, ვინაიდან უკანასკნელნი ძალზე მოიქანცენ და სხ. ნინუას რეზოლიუცია სიეზდმა ერთხმათ მიიღო.

შემმოწმებელ (испытательныя) კომისიათა შესახებ ერთხმათ მიღებულ იქნა მომხსენებელ ევლოვის რეზოლიუცია, რომლის თანახმათ უნდა დაარსდეს სამგვარი კომისიები: მიმღები კომისია, სიევაკუაციო და სამხედრო შეკრისაგან განმათავისუფლებელი. სამხედრო საკრებულოში ჯარისკაცთა მიღების საკითხს სჭრის მხოლოდ ექიმთა შემადგენლობა. ყველა სახის კომისიაში სათათბირო ხმით დემოკრატიული კანტროლის განსახორციელებლათ მონაწილეობას უნდა იღებდეს ადგილობრივი ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის წარმომადგენელი.

ჯარის საექიმო-სანიტარულ ნაწილის რეორგანიზაციის შესახებ სიეზდმა მიიღო მომხსენებელი ექ. **დონსკოის** რეზოლიუცია, სადაც აღნიშნულია ყველა მომქმედ ორგანიზაციათა გაერთიანებისა და სამხედრო კავშირებთან შეთანხმებულ მუშაობის საჭიროება, არავითარი უპირატესობა ერობათა და ქალაქთა კავშირში მოსამსახურეებს, ყველა უნდა გათანასწორდეს უფლებრივ-ნივთიერი მდგომარეობის მხრით.

დასასრულ ჯ.-კ. ტროხინ ს.-რ.-ების სახელით შემოაქვს წინადადება კავკასიის გლეხთა დეპუტატების სიეზდზე გაიგზავნოს 5 დელეგატი, მათ შორის 2 ს. რ-ი იქნება.

აკაკი პაპავა სოც.-ფ.-ების სახელით უერთდება სიეზდის მიერ ნაციონალურ საკითხის შესახებ მიღებულ რეზოლიუციას.

(მე-16 დღე, 15 მაისი).

თავმჯდომარეობს **ჩვონარიოვი.** საგეთილო სექციის მუშაობის შესახებ ექ. ვოლპინი აღნიშნავს საგეთილო საქმის სრულ აწეწ-დაწეწას, ფორმალისტიკისა და კანცელიარშჩინის გაბატონებას და სხ. საჭიროთ სცნობს საგეთილო პერსონალის სიეზდის მოწვევას. სიეზდმა მიიღო ეს წინადადება და გამოყო საგეთილო სექციიდან 4 კაცი, რომელიც თფილისის ჯარისკაცთა საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტის დახმარებით მოიწვევს ხსენებულ სიეზდს. ამასთანავე სიეზდი ავალებს თფ. ჯარისკაცთა დეპ. საბჭოს აღმ. კომიტეტს, დროებით კანტროლი გაუწიოს საგეთილო საქმეებს.

სამხედრო პირთა ნივთიერ მდგომარეობის შესახებ წაკითხულ მოხსენებიდან ირკვევა, რომ ჯარისკაცები ამ მხრით დიდ გაჭირვებას განიცდიან, მაშინ, როცა აფიცრობა აუარებელ ქონებას ფლანგავს უმიზნოთ. მოხსენების აზრია ჯ.-კაცთა მდგომარეობის გაუმჯობესება ისე, რომ ეს საზიანო არ იქნეს ქვეყნის ფინანსიური მდგომარეობისათვის. ერთი რიგი ორატორებისა მოითხოვს, ყოველ გვარი ზედმეტი დახმარება აფიცრების, მაგ. შეშისათვის, ფურაჟისათვის, მოსამსახურეთათვის და სხ. მოსპობილ იქნას და მიეცეს მათ მხოლოდ განსაზღვრული ჯამაგირი. ორატორების მეორე ნაწილი წინააღმდეგია ასეთი შეხედულების, რადგან დღეს ასე თუ ისე მაინც კაპიტალისტური საზოგადოებაა და სავსებით სამართლიანობის დამყარება ყოვლად შეუძლებელია, მასალმების ღირსია ჯარისკაცთა და აფიცრების გათანასწორების იდეია, მაგრამ დღეს თუ ჩვენ აფიცრებს შეუმცირებთ შემოსავალს, შესაძლებელია ბევრი მტერი შევქმნათ რევოლიუციას, რეაქციონერები ამას გამოიყენებენ სააგიტაციო მასალათ.

კამათი გადაიდო შემდეგი სხდომისათვის. სპარსეთში რუსეთის რევოლიუციით გამოწვეულ ამბების გასარკვევათ გადაწყდა დაარსდეს ცალკე სექცია.

კავკასიის ბერძენთა დემოკრატიულ ელემენტების სიეზდის სახელით სიეზდს ესალმება ამხ. ლაზარიდი.

გ. ალათიშვილი.

თფილისის მუშათა დეპუტატების საბჭოს მორიგი კრება.

(13 მაისი.)

თავმჯდომარეობდა ნოე ჟორდანია, რომელმაც მოახსენა კრებას, რომ კრებაზე იმყოფებიან მეორე დუმის წევრები ზურაბოვი და მახარაძე და გააცნო ისინი კრებას. კრება დეპუტატებს ხანგრძლივი ტაშისცემით მიეგება.

ამხ. ზურაბოვმა ვრცელი მოხსენება გააკეთა პეტროგრადის უკანასკნელ ამბების შესახებ. სხვათა შორის მომხსენებელმა ის აზრი გამოსთქვა, რომ რუსეთის რევოლიუცია ნაციონალური არ არის, არამედ მას საერთაშორისო ხასიათი აქვსო. ამიტომ დასავლეთ სახელმწიფოთა ბურჟუაზიული პრესა მტრულათ შეხვდა რუსეთის რევოლიუციასო. ერთ-ერთმა გერმანულმა ბურჟუაზიულმა გაზეთმაო, ამბობს იგი, მოითხოვა კიდეც, რომ გინდენბურგს გაერღვია რუსეთის ფრონტი, თავს დასხმოდა პეტროგრადს და აღმოეფხვრა რუსეთის რევოლიუცია, რადგანაც ის გერმანიასაც საფრთხეს უქადდაო. საფრანგეთისა და ინგლისის ბურჟუაზიულმა პრესამაც დიდხანს არ გამოაქვეყნა რუსეთის ამბები, მაგრამ როდესაც დაფარვა შეუძლებელი შეიქნა საყვედურით ამცნო ქვეყანას, რუსეთის რევოლიუციამ კანონიერ საზღვრებს გადაშორდაო. რიბომ სალამი უძღვნა ნიკოლოზ რომანოვს და არა რევოლიუციას. დასავლეთ ევროპის სახელმწიფოთა დემოკრატიის შორის კი სულ სხვანაირი განწყობილება სუფევდა. ერთმა ჯგუფმა ამხანაგებისამ, რომელიც საზღვარ გარეთ იმყოფებოდა ხელთანაწერი პროკლამაცია შეადგინა და დაუგზავნა ყველა მეომარ სახელმწიფოთა სოციალისტურ პარტიებს და მოუწოდა მათ მხარი დაეჭირათ რუსეთის რევოლიუციისათვის და სისხლში არ ჩაეხრჩოთ იგი. დეპუტატმა ნოსკემ რეიხსტაგში მოიყვანა ამ მოწოდებიდან ციტატები და განაცხადა, რომ მეომარ სახელმწიფოთა დემოკრატია არავის არ მისცემს ნებას, რომ რუსეთის დემოკრატიის მიერ სისხლით მოპოებული თავისუფლება შტიკებით იქნას დამარცხებულიო...

დროებითი მთავრობის შემადგენლობაში ორნაირი მიმდინარეობა იყო, ერთი უკიდურესი იმპერიალისტური და მეორე უფრო საშვალო, გამოურკვეველი მიმდევრები პირველი ჯგუფისა.

14 მარტის მოწოდებას მილიუკოვი და მისი მიმდევრები მტრულათ შეხვდნენ.

18 აპრილს კიდეც გამოაქვეყნეს ნოტა, რომელსაც შედეგათ მოყვა პეტროგრადის უკანასკნელი ამბები. ნოტის ისტორია ასეთია:

კერენსკიმ განუცხადა დროებით მთავრობას: უკეთუ მთავრობა ხელს არ აიღებს დაპყრობითი პოლიტიკაზე და გამოაქვეყნებს დადგენილებას ავსტრო-უნგრეთისა და გერმანიის განადგურების შესახებ, მთავრობიდან გავდივარო. მილიუკოვმა განაცხადა, რომ უკეთუ მთავრობა ხელს არ მოაწერს ასეთ დადგენილებას, მაშინ მე გავდივარო. ასეთი მდგომარეობის გამო შედგენილ იქნა შეთანხმებული დადგენილება, რომლის გამოქვეყნებასაც შედეგათ კინაღამ მოჰყვა სამოქალაქო ომი. შემდეგ მან მოახსენია „ისტორიული ღამის თათბირი“, რომელზედაც მოხდა შეთანხმება დრ. მთავრობას და მუშათა საბჭოს შორის კოალიციონურ სამინისტროს შესახებ. მოითხოვნა კოალიციონურ სამინისტროს დაიწყო ბურჟუაზიულმა პრესამ. ამ შეხედულებამ დემოკრატიაშიც მოიპოვა ნიადაგი. შრომის ჯგუფი იქამდის გაიტაცა ამ იდეიამ, რომ სიაც კი გამოიმუშავეს კაბინეტის წევრთა. პირველ ხანებში გადაწყვეტილი იყო არ მიეღოთ მონაწილეობა სამინისტროს შემადგენლობაში, მაგრამ ბოლო დროს გამოირკვა, რომ უკიდურეს იმპერიალისტურ პარტიათა წარმომადგენლები, მილიუკოვი და სხვები გადიან სამინისტროდან და კოალიციური სამინისტროს შედგენაც ფაქტი გახდა. შემდეგ მან აღნიშნა, რომ პეტროგრადის ამხანაგების მიერ მიღებულ ნაკაზში არის პუნქტი, სადაც ნათქვამია, რომ ჩვენი ამხანაგი მინისტრები პასუხისმგებელნი უნდა იყვნენ პოლიტიკაში დემოკრატიის წინაშე და ამ პუნქტის გამო თითქმის არც კი არის დიდი განსხვავება პეტროგრადის ამხანაგების და თფილისის მუშათა საბჭოს გარდაწყვეტილებაში ამ კითხვის შესახებო. რამდენიმე შეკითხვებისა და განმარტების შემდეგ კრებამ დაადგინა დებატები არ გახსნას მოხსენების შესახებ.

ამის შემდეგ გ. ერაძემ აცნობა კრებას მომრიგებელ სასამართლოთა რეორგანიზაციის შესახებ. დღითი-დღეო—ამბობს იგი, აუარებელი ხალხი აწყდება მუშათა დეპუტატების საბჭოს ისეთის თხოვნებით, რომლების განხილვაც მომრიგებელ მოსამართლეთა მოვალეობას შეადგენს, ზოგს მიწების საჩივარი აქვს, ზოგი ოჯახური საქმეებისა და სხ..

როდესაც ჩვენ მომრიგებელ მოსამართლეებზე და სხვა ასეთ დაწესებულებისაკენ ვუთითებთ, ხალხი პროტესტს აცხადებს და იძახის, რომ ისინი სცნობენ მხოლოდ მუშათა დეპუტატების საბჭოს, როგორც რევოლიუციონურ დაწესებულებას და არავითარ ძველ წესწყობილების დანაშთ სასამართლოებთან არა სურთ საქმე დაიჭირონ. ჩვენ ვალდებული ვართ უყურადღებოთ არ დავსტოვოთ ეს, მაგრამ იმათი დაკმაყოფილება ხელს გვიშლის ჩვენი პირდაპირი მოვალეობის ასრულებაში. ის წინადადებას აძლევს კრებას, რომ ჯერ, სანამ სასამართლოების რეორგანიზაცია არ მომხდარა—გამოიმუშაონ დროებითი საშუალება მომრიგებელ კამერების მაგვარი, საამხანაგო სასამართლოები ან სხვა რამ ასეთი, სადაც შეეძლოს მიმართოს ხალხმა.

კამათის შემდეგ კრებამ სასურველათ სცნო კომისიის დაარსება ამ კითხვის შესამუშავებლათ. და აირჩია შემდეგი პირები: 1) რ. არსენიძე, 2) ნ. ცერცვაძე, 3) პაპოვი, 4) ხარტიშვილი, 5) მ. რუსია, 6) პ. კახიანი, 7) ა. მაისურაძე, 8) როზენბერგი, 9) მახარაძე, 10) ს. ჯაფარიძე და 11) დანილჩენკო.

კომისიის არჩევის შემდეგ კრებამ გ. ერაძის წინადადებით შემდეგი რეზოლიუცია მიიღო მომრიგებელ სასამართლოთა რეორგანიზაციის შესახებ: „რადგან ხალხი ჩამოშორდა ძველ მომრიგებელ სასამართლოებს, რის გამოც სხვა და სხვა სამოქალაქო, ოჯახური ხასიათის და სისხლის სამართლის საქმეების განსახილველად აწყდებიან მუშათა დეპუტატების საბჭოს, უკანასკნელი აუცილებელ საჭიროთ სცნობს დაუყონებლივ მოხდეს რეორგანიზაცია მომრიგებელ სასამართლოებისა დემოკრატიულ საფუძველზე, კრება ავალებს თავის აღმასრულებელ კომიტეტს მიმართოს კავკასიის კომისარიატს და აგრეთვე პეტროგრადის მუშათა დეპუტატების საბჭოს, რათა დააჩქარონ მომრიგ. სასამართლოების რეორგანიზაციის საქმე.

ამის შემდეგ **ნოე რამიშვილი** მოხსენებას აკეთებს დამფუძნებელი კრების შესახებ. რევოლიუციამ, ამბობს იგი, შეარყია ძალაუფლების საძირკველი. ზოგიერთ ადგილებში თავი იჩინა ანარქიამ მთავრობის ავტორიტეტი ბევრ ალაგას დაეცა, როგორც მაგალითად ბესარაბიაში და სხვაგან... საჭიროა დაუყონებლივ შეიქნას ავტორიტეტული ორგანო ძალა უფლებისა და მართვა გამგეობისა, რომელიც ხელს შეუწყობს წესრიგის დაცვას. ამის გარდაც აუარებელი კითხვებია ისეთი, რომლებიც გადადებას არ ითმენს, როგორიც მაგალითად მუშათა, გლეხთა, ომის ლიკვიდაციის საკითხი, სურსათით საქმის მოწესრიგება და სხვა. თუმცა არსებობს მუშათა და ჯარის კაცთა დეპუტატების საბჭოები, მაგრამ არ შეიძლება ითქვას, რომ ეს ორგანიზაციები საყოველთაო ავტორიტეტით სარგებლობდენ. ომის ლიკვიდაციის შესახებ დემოკრატიამ სთქვა თავისი სიტყვა, მაგრამ არ შეიძლება ითქვას, რომ ის მარტოკა შესძლებს ამ ლოზუნგის განხორციელებას. კოალიციური სამინისტროს შედგენის შემდეგაც კი, ჩვენშიც და დასავლეთ სახელმწიფოებშიც გაიძახიან, რომ დღევანდელი მთავრობა არ არის გამომხატველი მთელი ხალხის ნება-სურვილისა, სასურსათო საქმე აწგრეულია და ამ ნიადაგზე შეიძლება წარმოიშვას ბევრი ისეთი გარემოებები, რაც შემაფერხებელი იქნება რევოლიუციისათვის. ამ ტომ საჭიროა რაც შეიძლება ჩქარა მოწვეულ იქნას დამფუძნებელი კრება. დამფუძნებელი კრება ბატონ-პატრონი მთელი რუსეთისა, მაგრამ დემოკრატია, რომ გახდეს ბატონ-პატრონი დამფუძნებელი კრებისა, ამისათვის საჭიროა წინასწარი მომზადება ხალხისა. ქალაქებში ამ მხრივ სასურველად არის საქმე დაყენებული, მაგრამ სოფლებში კი ამდენათ არა.

1848—1871 წ.წ. საფრანგეთში მოუმზადებელმა პროვინციამ კონტრრევოლიუციონური როლი ითამაშა. დღეს ყველგან გლეხთა ორგანიზაციები არსდება, ამბობს იგი, და ეს ორგანიზაციები დიდ სამსახურს გაუწევენ რევოლიუციას. ამავე დროს უნდა სწარმოებდეს მუშაობა ადგილობრივ საქალაქო და საერობო თვითმართველობის არჩევნებისათვის, რაიც საუცხოვო გაკვეთილი იქნება დამფუძნებელი კრების არჩევნებისთვის. თუ დროებითმა მთავრობამ აწარმოვა დამფუძნებელი კრების მოწვევის საქმე, მოსალოდნელია, რომ ამ 1917 წელში სრულებით ვერ ვეღირსოთ დამფუძნებელ კრებას. შემდეგ მოხსენებელი წინადადებას აძლევს დაუყონებლივ შეუდგენ ქალაქისა და საერობო თვითმართველობის არჩევნებს და ერთ და იმავე დროს გაჩაღდეს მუშაობა დამფუძნებელი კრებისათვისაც. თუ დროზე შეუდგებით, შესაძლებელია 3 თვის განმავლობაში მოწვეულ იქნეს დამფუძნებელი კრება.

თ. კალანდაძეს არ ესმის რომელ ავტორიტეტის დაცემაზე ლაპარაკობენ. მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტ. საბჭ. ავტორიტეტი არამც თუ დაეცა, პირიქით, ამაღლდა კიდეც. ხოლო დაეცა დროებითი მთავრობის და უკეთესაცაო. ის წინადადებას აძლევს თფილისის მუშ. საბჭ. მოითხოვოს პეტროგრადის მუშათა დეპუტ. საბჭოსაგან, რომ უკანასკნელი თვით ჩადგეს მთავრობის სათავეში და დამფუძნებელი კრება მან მოიწვიოსო.

მახარაძე (დეპუტატი) ამბობს, რომ პირველ ხანებში პეტროგრადში ხშირად გაისმოდა ხმები დამფუძნებელი კრების მოწვევის შესახებ, მაგრამ ამ ბოლო დროს ასე აღარ არის. ლიბერალურმა ბურჟუაზიამ გუჩკოვის პირით კიდეც ამცნო ქვეყანას, რომ სანამ ომი არ შეწყდება შეუძლებელია კრების მოწვევაო. არჩევნების მომწყობი კომისია არ ჩქარობს. მუშათა დეპუტატების საბჭომ უნდა მოითხოვოს, რათა დაუყონებლივ იქნას მოწვეული დამფუძნებელი კრება და წინადადება მისცეს რუსეთის სხვა ქალაქებს მათაც ასეთივე მოთხოვნილება წამოაყენონ.

ნ ცერცვაძე ამბობს, რომ რუსეთის რევოლიუციონური ხალხი სასიძოა, დემოკრატიული რესპუბლიკა—საპატარძლო, დამფუძნებელი კრება კი მღვდელია, რომელმაც ჯვარი უნდა გადასწეროს მათ... მაგრამ კითხვა იმაშია, შეიყვარა თუ არა საქმრომ საცოლე? უმთავრესი ის არის, რომ მასსა ორგანიზაციულათ შეკავშირდეს, სასურველად მოეწყოს მიწის საკითხის საქმეები და ყოველი ღონე ვიღონოთ, რომ ხალხი მომზადებული და განვითარებული შეხვდეს დამფუძნებელი კრების არჩევნებს. რესპუბლიკისათვის რესპუბლიკანელებია საჭიროვო...

გ. ჟუღელის აზრით სანამ რევოლიუციონური ტალღა არ დანელებულა, მანამდის უნდა მოვიწვიოთ დამფუძნებელი კრება თუ გვინდა, რომ გამარჯვება შევგრჩეს.

ზურაბოვის აზრით, თუ დამფუძნებელი კრების მოწვევა გადაიდო მოხდება ის, რომ სანამ მშობლები ნებას დართავენ ჯვრის წერისას, სექმრო საცოლეს შორის სიყვარულიც განელდება... უკეთუ დამფ. კრების მოწვევა გადაიდო, არავითარი გარანტია არა გვაქვს, რომ რუსეთში აგრარულ ნიადაგზე ცეცხლი არ იფეთქებს და ეს ცეცხლი საბოლაოთ არ შთანთქავს რუსეთის რევოლიუციასო.

ნოე რამიშვილი იცავს მოხსენებაში გატარებულ მოსაზრებებს და უდგენს კრებას შემდეგ რეზოლიუციას, რომელიც მიღებულ იქნა. „თფილისის მუშათა დეპუტატების საბჭო აუცილებელ საჭიროებათ სთვლის დაუყონებლივ მოწვეულ იქნას დამფუძნებელი კრება. საბჭო ფიქრობს, რომ გაჩაღებულ რევოლიუციონერ ბრძოლის დროს მოწვეულ დამფუძნებელ კრებას არ შეუძლია არ გამოხატოს დემოკრატიის მისწრაფებანი, ამიტომ მისი მოწვევის გაჭიანურებას, რა ფორმაშიაც უნდა იყოს ის, საბჭო ისე შეხედავს როგორც კონტრ-რევოლიუციონერ ნაბიჯს და ცდას

მოამზადონ ნიადაგი ზომიერ ხალხის წარმომადგენლობის პირობების.

დამფუძნებელ კრების არჩევნებზე გასამარჯვებლათ და ადგილობრივ რევოლიუციონურ მთავრობის გასამაგრებლათ თფილისის მუშათა დეპუტატების საბჭო მოითხოვს დროებით მთავრობისგან დაუყოვნებლივ განახლებულ იქნას დემოკრატიულ ნიადაგზე ქალაქის და საერობო თვითმართველობები და დაარსდეს ასეთი დაწესებულებები იქ, სადაც აქამდე არ იყო.

შემდეგ **ზ. ცინცაძემ** მოხსენება გააკეთა აღმასრულებელი კომიტეტის მუშაობის შესახებ, ქალაქის თვითმართველობის არჩევნების სამზადისის და მილიციონერთა ჯამაგირის მომატების შესახებ. დასასრულ **გ. ერაძემ** აცნობა კრებას, რომ 20 მაისს თფილისში მოწვეულია ამიერ კავკასიის მუშათა და გლეხთა საბჭოების წარმომადგენელთა სიეზდი. დღის წესრიგში შეტანილ კითხვათა წინასწარი გარჩევისათვის 18 მაისს შესდგება არაჩვეულებრივი საზოგადო კრება საბჭოს წევრთათ.

ღამის 11 საათზე კრება დაიხურა.

სოციალდემოკრატიულ პარტიაში.

ქ. დუშეთი.

23 აპრილს მოხდა პირველი კრება ს.-დ. მ. პ. დუშეთის ორგანიზაციის. დაესწრო 25 კაცი. დაარსდა ბიურო. ბიურომ თავმჯდომარეთ ამოირჩია მიშა კლიმიაშვილი, მდივნათ პეტრე ვიგორბინი და ხაზინადრათ მარია თუმანოვისა. ბიურო შეუდგა პარტიის გაფართოებას და რაც შეიძლება მეტი წევრების შეძენას. ეწერებიან უმეტესათ ქალები და მუშები. ქალებმა შეადგინეს წრეები. ბიურომ დუშეთის მუშათა და ჯარისკაცთა საბჭოს შემწეობით გადასწყვიტა დაარსოს მუშათა კლუბი, სადაც მოთავსდება პარტიული ბიბლიოთეკა-სამკითხველო და ბიურო. ამ თავითვე კლუბის წევრებათ ბევრი ეწერება. **პეტრე დუშელი.**

ქ. ეისკი. (ყუბან. ოლქ.).

30 აპრილს ადგილობრივმა სოციალდემოკ. გამართეს კრება ქალაქის თვითმართველობის დარბაზში. კრების მიზანი იყო—ეისკში სოც.-დემ. ორგანიზაციის მოწყობა. არჩეულ იქნა საორგანიზაციო ბიურო, რომელსაც ორგანიზაციის მოწყობა მიენდო. აირჩიეს ბიურო. მიღებულ იქნა ამხ. დავითაიას წინადადება, რომ მომავალ საზოგადო კრებაზე მოწვეულ იქნას, რაც შეიძლება მეტი ნაწილი მუშებისა, რომ მათ საშუალება მიეცეთ მიიღონ მონაწილეობა პარტიულ მუშაობაში. სურვილი გამოსთქვეს ხშირად იმართებოდეს მუშათა კრებები. **ვ დ.**

სამტრედია.

მოხდა რკ. გზ. პარტიის წევრების ყრილობა. ფარული კენჭის ყრით აირჩიეს ს. დ. რაიონულ კომიტეტში: გრიშა ურუშაძე, სამსონ მიქელაძე და კიმ. შენგელია.

ს.-დ. რაიონულმა კომიტეტმა 9 მაისს დაადგინა: გახსნილ იქნეს პარტიული კლუბი, დაარსებულ აქნას პროპაგანდისტთა წრე (მიანდვეს: რაჟდენ მიქაძეს, დათიკო მიქელაძეს, არხ. ახობაძეს და ვანო სტურუას), შემოღებულ იქნას ანგარიშების წარმოება მთელი რაიონის ორგანიზაციებში საერთო სახით. აირჩიეს პასუხისმგებელ კორესპონდენტებათ გრიშა ურუშაძე და რაჟდენ მიქაძე. **№.**

ბორჯომი.

9 ამ თვეს მოწვეულ იქნა დამფუძნებელი კრება ბორჯომის რაიონის რ. ს. დ. მ. პ. წევრებისა: სახერხავ და მუშის ქარხნების მუშები, რკინის გზის მოსამსახურეები და დაბის მცხოვრებნი. კრებას დაესწრო 300-მდე პარტიის წევრი, კრებამ თავმჯდომარედ ერთხმად აირჩია გ. კილაძე და მდივნათ პავლოვი. განსახილველი იყო შემდეგი კითხვები: მოხსენება ხაშურის კომიტეტის წარმომადგენლის ამ. ნ. იმნაიშვილის, საორგანიზაციო კითხვები, საწევრო გადასახადი და არჩევნები რაიონულ კომიტეტისა, სარევიზიო კომისიის და წევრთა მიმღები ბიუროსი.

კრებამ დაადგინა შესასვლელი საწევრო 50 კ. და თვიურათ 40 კაპიკი, მხოლოდ ჯარის კაცები კი ამ გადასახადისაგან თავისუფლდებიან. კომიტეტში აირჩიეს 9 წევრი და 3 კანდიდატი, სარევიზიო კომისიაში 5 წევრი და 2 კანდიდატი და ბიუროშიც 5 წევრი და 2 კანდიდატი. **ნოდე.**

სოფ. ქვემო-სურები. (გურია).

პარტიის წევრთა რიცხვი ოთხმოცს აღემატება, ამათში ოცდაშვიდი ძველი პარტიის წევრებია. ამ პარტიას ყავს თავისი ხელმძღვანელი ორგანო ხუთი კაცისაგან შემდგარი. აქ ყოველ შაბათს მეცადინეობაა. მეცადინეობაა აგრეთვე დემოკრატიულ წრეებშიც. დაარსდა მცირე წლოვანთა წრე.

ვეტრფი.

დ. გუდაუთი.

ამ დღეებში გუდაუთაში მოხდა გუდაუთის ს. დ. ორგანიზაციის დამფუძნებელი კრება, რომელსაც დაესწრო 60 წევრი. კრებამ აირჩია ორგანიზაციის ხელმძღვანელი კოლექტივი. ამ უკანასკნელს დაავალა გაავრცელოს როგორც დაბაში აგრეთვე მახლობელ სოფლებში ს. დ. პროგრამა. ამ მიზნისათვის მან უნდა შეადგინოს პროპაგანდისტთა კოლეგია.

კრებამ დაადგინა მომავალ ქალაქის თვითმართველობის არჩევნებში მიიღოს მონაწილეობა და რამოდენიმე თვისი კანდიდატები წამოაყენოს ხმოსნებათ.

სხვა კითხვათა შორის იყო კითხვა პარტიული გაზეთების სასარგებლოდ ფულის მოგროვება. კრებამ აირჩია სამი კაცისაგან შემდგარი კომისია, რომელსაც დაავალა მოაგროვოს გაზეთი „ერთობა" და „ფიქრ"-ის ფონდის გასაძლიერებლად ფული.

ი. კვათანელი.

მუშათა ცხოვრება.

ჭიათურა. მუშათა კლასმა მრეწველ ექსპორტიორთა და სხვა დარგის ნოქრებთან ერთად 22 მუხლისაგან შედგენილი მოთხოვნილება წარუდგინეს ხაზეინებს. პასუხი უნდა მიეცად 30 აპრილს. ამ დღემდე რამდენიმეჯერ გაიმართა მოლაპარაკება და თითქმის ყველა მუხლებზე შეთანხმება ხდებოდა გარდა ორი სამი მუხლისა; მწვავე კამათი გამოიწვია უკანასკნელმა მუხლმა (მუხ. 22) ამ მუხლში შედის მუშათა დამჩლევ აგენტის და სასწორების კონტროლიერების დათხოვა, როგორც არა მუშათა ინტერესების დამცველთა და მათ ადგილზე მუშათაგან წარდგენილი პირების ჩაყენება. აი აქ მოხდა კონფლიქტი, თუმცა სადაო იყო ამავე დროს ორი სხვა მუხლიც 11 და 21. პირველთ მოთხოვნილია: მუშათა და მოსამსახურეთა დათხოვა-მიღება მუშათა საქმეა, ხოლო მეორეთი აკორდის უარყოფა, მაგრამ აქ კიდევ შეიძლებოდა საკითხების ცოტაოდენი ცვლილებით გადაწყვეტა, რომ 22 მუხლს არ გამოეწვია უთანხმოება და კრების შეწყვეტა.

მიუხედავათ იმისა, რომ დამარცხება აშკარა იყო, ექსპორტიორ მრეწველები გარდა წვრილი მრეწველებისა ჯიუტობდენ.

საღამოს მუშათა წარმომადგენლებმა მუშათა საბჭოში გამართეს სხდომა, თუ რა გზას დადგომოდენ. გადასწყვიტეს საერთო გაფიცვა. ეს გაფიცვა მოულოდნელი იყო: შეიქნა ფაცა-ფუცი; პირველ მაისს გაიმართა ცალ ცალკე მოლაპარაკებები, ხოლო საღამოს შეერთებული სხდომა, სადაც დაკმაყოფილებული იქნა ყველა მოთხოვნილებები მცირედი ცვლილებით. ამის შემდეგ გაფიცვა 2 მაისის დილიდანვე შეწყდა. **ალი-ხანი.**

ბათუმის ასოთ ამწყობების პროფესიონალური კავშირის საერთო კრება 29 აპრილს ქალაქის თვითმართველობის დარბაზში მოხდა საერთო კრება ბათუმის ასოთამწყობებისა, დღიურ წესრიგში იყო მოყვანილი: 1) ორგანიზაციონული კომისიის მოხსენება, 2) ორგანიზაციონული კომისიის შემუშავებული წესდების გადასინჯვა და დამტკიცება, 31 გამგეობის წევრების და სარევიზიო კომისიების წევრთა ამორჩევა. წესდება, კრებამ რამოდენიმე მუხლების შესწორებით მიიღო, შემდეგ მოხდა არჩევნები, გამგეობის წევრებათ იქნენ არჩეულნი შემდეგი პირები; გამგეობის თავმჯდომარეთ მ. წულაძე, მდივნათ გ. ღლონტი, ხაზინადრათ კ. ლორთქიფანიძე, ა. ზელენოვი, ი. კვანტალიანი, მ. ვიგნანსკი, თ. თოფურიძე; კანდიდატები: აშკინაზი, მ. კარპი, ა. ჯალალოვი და ა. ჩხაიძე; სარევიზიო კომისიაში: მ. ნოდია, ვ. კვაჭაძე და გ. ვიგნანსკი, კანდიდატებათ: პ. ანდრეევი და ი. ფანცულაია.

გ ღლონტი.

რევოლიუცია პროვინციაში.

ახალ ბაიაზეთის მაზრა. საზოგადოთ ერევნის გუბერნია და კერძოთ ახალ ბაიაზეთი ძლიერ ჩამოშორებულია ცხოვრებას, ჩინოვნიკ-ალთ-ბეგების მეოხებით ხალხი სიბნელეში იხრჩობა. ეს ვაჟბატონები კი ამას ხელს უწყობდენ, რადგან სიბნელეში მყოფი ხალხი მონათ გაეხადათ, მაგრამ რევოლიუციის ტალღებმა ახალ ბაიაზეთის მაზრაშიც შემოხეთქა, აბმაურდა ხალხი, გაისმა თავისუფლების ხმა, დაამხეს ძველი ადმინისტრაცია, მარა ბნელმა ძალებმა, ხალხის ზურგზე დასუქებულებმა, იგძნეს რა აღსასრულის მოახლოევება, ფიცხლავ დატრიალდნენ მცხოვრებლებში და იწყეს წყლის ღლვრევა მერე სად? იქ, სადაც ორი სხვადასხვა ერი კულტურულათ ჩამორჩენილი მოსახლეობენ და რომელთა შორის სულ ადვილია არა სასიამოვნო ამბების გამოწვევა. მარა მცხოვრებლებმა დიდი სიფხიზლე გამოიჩინეს, არ აჰყვენ პროვოკატორების ფეხის ხმას, პირიქით ბევრ ადგილას მათ შესაფერისი პასუხიც გასცეს, ზოგ მათგანს ციხეშიაც ამოაყოფინეს თავი. დაფრთხენ მაზრის ბატონ პატრონნი, მარა იმედს მაინც არ კარგავენ; მოახდინეს მობილიზაცია ყველა თავის ძალ-ღონისა და ახალ ბაიაზეთის მაზრის მეოთხე უბანში, სადაც უმეტესობა მუსულმანობა სცხოვრობს, კინაღამ მიაღწიეს მიზანს, მარა ქ. ახალ ბაიაზეთის აღმასრულებელ კომიტეტის დავალებით დროზე გავემგზავრეთ ამ რაიონში; მოუყარეთ თავი 49 სოფლის ინტელიგენციას, განუმარტეთ მათ საქმის ვითარება. ამის შემდეგ გავემგზავრეთ სოფლებში მიტინგების და გლეხთა საბჭოების მოსაწყობათ. ყველგან ხალხი აღფრთოვანებით გვხვდებოდა. ამის შემდეგ მთელ მაზრაში სრული სიმშვიდე და წესიერება გამეფდა.

აპარელი ხოხო.

ხ. ქოლობანი (სენაკის მაზრა). 2 მაისს მოხდა ქოლობან გუჯუნყუთის და გეზათის ქალთა კრება ცაფუ მიქაძის ინიციატორობით. კრებას დაესწრო 150 ქალი. თავმჯდომარეთ არჩეულ იქნა ანიჩკა მიქაძისა და თანაშემწეთ ეფროსინა ბოხუა. გაარჩიეს შემდეგი კითხვები, დღევანდელი მომენტი—ჟურნალ-გაზეთის გავრცელება—და ქალთა ორგანიზაციების მოწყობა სოფლათ. დღევანდელი მომენტის მოკლეთ დახასიათების შემდეგ ასეთი გადაწყვეტილება მიიღეს: რადგანაც ქალებს დღევანდელმა მდგომარეობამ ერთობ ფართე ასპარეზი გაუხსნა სამოქმედოთ,—შეეცადონ ისარგებლონ დღევანდელი თანასწორობა-თავისუფლებით რევოლიუციის სასურველათ დასაბოლავებლათ. ერთსულოვნათ გადაწყვიტეს, რაც შეიძლება ენერგიული მონაწილეობა მიიღონ მომავალ არჩევნებში და ქალთა ორგანიზაციები მოაწყონ. ამ მიზნისათვის არჩეული იქნა ყოველ ოც ქალზე ერთი ქალი. აგრეთვე გადაწყვიტეს ჯერ-ჯერობით გამოიწერონ თავიანთ შორის გასავრცელებლათ ს. დ. გაზეთი „ერთობა". რაიონის წარმომადგენლათ არჩეულ იქნა ცაფუ მიქაძისა. კრებამ გაიხსენა ნ. ჟორდანიას ღვაწლი ქალთა გათანასწორების საქმეში და უსურვა მას ხანგრძლივი სიცოცხლე. **ან—მანი.**

კინჩხის საზოგადოება (სენაკის მაზრა). ორ მაისს მოხდა ადგილობრივი აღმასრულებელი კომიტეტის არჩევნები. ხალხი ბლომათ დაესწრო. თავმჯდომარეთ არჩეულ იქნა ფარმაცევტი კოწია დეჟებუაძე. კრებას ხელმძღვანელობდენ ქუთაისის დეპუტატების მუშათა საბჭოს წარმომ. გიორგი ქავთარაძე და ნაოლაქევის სარაიონო ბიუროს წარმომად. საშა გეგეჭკორი (ორივე ს. დ.). კენჭის ყრა გათავდა საღამოს შვიდ საათზე. ოცს კანდიდატში არჩეულ იქნა თორმეტი კაცი და სამიც მათი კანდიდატი. კომიტეტში აირჩიეს მღ. ნ. ხურცილავა, მ. ჯანელიძე, ლ. კუხალაშვილი, ლ. ჟიშკარიანი, რ. ჰანტურია, მათე ჩიხლაძე, ა. ფაილოძე, ბ. ლაჭავა. მ. ჩიხლაძე, ლ. ჩიხლაძე, ს. ჩიხლაძე და ტ ბობოხიძე. მათი კანდიდატები: თ. ძაძამია, ი. უგლავა და ი. ლაჭავა. კომიტეტის თავმჯდომარეთ არჩეულ იქნა რაჟდენ ჰანტურია, მდივნათ მღ. ნესტორ ხურცილავა, კომისარათ—ყოფილი კომისარი მელიტონ პ. ჩიხლაძე, მწერლათ რომანოზ ქართსანიძე კრება დაიშალა საღამოს 9 საათზე. **ჩხენიშელი კოწია.**

პროვინციის ცხოვრება.

ლანჩხუთი. 7 მაისს მოხდა ლანჩხუთის დრამატიულ საზოგადოების წლიური კრება. თავმჯდომარედ იქნა არჩეული ივანე კალანდაძე, მდივნათ აპოლონ ორაგველიძე.

კრებამ მოისმინა გამგეობის და სარევიზიო კომისიის მოხსენება და დაადგინა: გამგეობამ პირნათლად შეასრულა თავისი მოვალეობა, ამიტომ გამგეობას საზოგადო კრება უცხადებს მადლობას და ამტკიცებს მის ანგარიშს.

შემდეგ კრებამ იქონია მსჯელობა „ქანის" (კალე ქილენტი ფსევდონიმი მანვე გამოაშკარავა) წერილის შესახებ (იხ. „თან. აზ." № 19, 1917 წ.) 14 ხმით წინააღმდეგ ოთხისა, იცნო რა წამოყენებული ბრალდებები ყალბად დაადგინა: გამოეცხადოს პროტესტი, როგორც მას ე. ი. ქანს, აგრეთვე ყველა კორესპონდენტებს, ვინც ყალბ ცნობებს აწვდის რედაქციებს.

თეატრის თანხის მოხმარების შესახებ (1092 მ. 74 კ.) კრებამ შემდეგი დაადგინა: გადიდეს ხუთასი მანეთი ახალი თეატრის შენობის ფონდისათვის, მხოლოდ დანარჩენი კი რჩება საწარმოვო თანხათ.

კრებამ დაავალ გამგეობას მოელაპარაკოს შენობის პატრონს და შეადგინოს სცენის მოყვარეთა წრე.

კრებამ დიდი მადლობა გამოუცხადა სცენის მოყვარეთ. კიდევ იმ პირთ, რომლებმაც თანახმათ გამგეობის მოწოდებისა, შეაგროვეს შემოწირულება; კოტე იმნაძემ 39 მ., თედო ღლონტმა 16 მ. 15 კ., ბიქტორ პედიამ 66 მ. ალიოშა ჯაყელმა 31 მ., აპოლონ ორაგველიძემ 141 მ. 20 კ., ალექსანდრე იაგორის ძე ცინცაძემ 15 მ.

ბოლოს გამგეობაში აირჩიეს შემდეგი პირნი: ვანიჩკა ასკურავა, ვარლამ ებრალიძე ნინა ჯუღელი, ნუცა ჩხიკვაძე, აპოლონ ორაგველიძე; კანდიდატებათ: იასონ ცინცაძე, ელენე გოგიჩაიშვილი, იასონ ჯორბენაძე; სარევიზიო კომისიის წევრებათ: ფარნა დეჟებუაძე, საშა დარახველიძე, ნინა დიდიძე. კანდიდატათ პოლიაქტორ იმნაძე.

კრების თავმჯდომარე: **ივანე კალანდაძე,** მდივანი: **აპოლონ ორაგველიძე.**

ხ. გეიდარაბადი. 3 მაისს მოხდა სხდომა ს. გეიდარაბადში. ამავე გარნიზონის კომიტეტმა აირჩია ფარული აგენტები ერთი აფიცერი და სამი ჯარის კაცი, რომლებმაც თვალყური უნდა ადევნონ პროვოკატორებს.

პროვოკატორი ჩინოვნიკი იანოვსკის თარეშს ბოლო მოეღო. ის შეიპყრეს. კრების თავმჯდომარეთ იყო არჩეული პრაპორშჩიკი პაჩელნიკოვი და თავმჯდომარის ამხანაგათ ქუთაისის პირველ ტრანსპორტის უფროსი ჩინოვნიკი ფილიანი. გადასწყვიტეს გამოუწერონ გარნიზონს გაზეთები და წიგნები. გაზეთის გამოსაწერათ ჩინოვ. ფილიანმა შესწირა 25 მანეთი. რომელიც გადაეცა მდივანს. გადასწყვიტეს რაც შეიძლება ჩქარა შეაგროვონ ფული ქურიალ გაზეთების გამოსაწერათ.

ჯარის კაცი ვახო.

გაზეთის სასარგებლოთ *).

თავ. მ. მ. ნაკაშიძის ხე ტყის სახერხ ქარხნის მუშებმა და მოსამსახურეებმა შეაგროვეს საოლქო კომიტეტის სასარგებლოთ 101 მანეთი 40 კ.

—

რედაქციამ მიიღო მამანტი ბოკუჩავასაგან 37 მ. 86 კ. შეგროვილი აფიცერთა ეკონომიურ საზოგადოების ნოქრებში და კანტორის მოსამსახურეებში.

—

ოზურგეთი. სონია კვაშალისა და ნატაშა ლომთათიძემ 22 აპრილს მუშათა პრესის დღეს შეაგროვეს ნაცნობ ამხანაგებ შორის 50 მ. 10 კ. აქედან ოცი მანეთი გადაეცით გაზეთ „ფაიქარს" და დანარჩენი ჩვენ გაზეთის ფონდისათვის.

—

გიგზავნით ჩვენ მეექვსე ოკალოტკის და მეცხრე განყოფილების რკინის გზის მოსამსახურეები 18 მ. გაზეთ „ერთობის" ფონდის გასაძლიერებლათ. **ყარამან რუხაძე.**

—

ჩვენ მეთოთხმეტე მუშათა ბატალიონის მე-7 როტის ჯარისკაცები გიგზავნით ჩვენს წვლილს 40 მ. 70 კ. გაზეთ „ერთობის" ფონდის სასარგებლოთ.

—

დ. ანაკლია (ზუგდიდის მაზრა). გაახლებთ ჩვენს შორის შეგროვილ წვლილს 46 მანეთს. გთხოვთ აქედან გადასცეთ 36 მ. პეტროგრადში მუშათა საბჭოს თავისუფლებისათვის დახოცილთა სახელობის სასარგებლოთ და 10 მ. კი გაზეთ „ერთობის" ფონდის გასაძლიერებლათ.

ამხანაგების მინდობილობით **ბ. ახალაია.**

—

დ. სამტრედია. ჩვენ დაბა სამტრედიის საზოგადოების სამი სოფელი სახელდობ: ილორი, ნაფალაური და ნაჩხეტაური ვგზავნით ჩვენ შორის მცირედ წვლილს სამოც მანეთს და გთხოვთ ნახევარი ამ ფულისა ე. ი. 30 მ. გადასცეთ პეტროგრადში 27 თებერვალს რევოლიუციის მსხვერპლთა ოჯახების გასაძლიერებელ ფონდს, ხოლო 30 მ. გაზეთ „ერთობის" ფონდის გასაძლიერებლათ.

კალისტრატე კაბურიშვილი.

—

ს. განარჯიის მუხური (ზუგდ. მაზრა). გაახლებთ ჩვენს შორის შეგროვილ წვლილს 25 მან. და 50 კ. და გთხოვთ გადასცეთ პეტროგრადში მუშათა საბჭოს, თავისუფლებისათვის დახოცილთა სახლობის სასარგებლოდ 20 მ. და გაზეთი „ერთობის" ფონდის გასაძლიერებლად 5 მ. და 50 კაპ.

მინდობილობით **ქაპა ახალაია.**

—

ს. ხულო (ზემო აჭარა) ადგილობრივი ს. დ. ჯგუფი და თანამოაზრე ქართველი მუსულმანები სალამს უძღვნის გაზეთ „ერთობას".

ვგზავნით 22 აპრილის, მუშათა პრესის დღის აღსანიშნავად 82 მ. შეგროვილს პარტიულ ამხანაგებში და თანამოაზრე ქართველ მუსულმანებში.

მიიღეთ ამხანაგური სალამი და ეს ცოტა წვლილიც.

ამხ. მინდ. ამხ. **ხანდრო შონია.**

—

თომა თეიმურაზის ძე კალანდაძისაგან რედაქციამ მიიღო 25 მ. გაზეთი „ერთობის" ფონდის გასაძლიერებლათ გარდაცვალებული მეუღლის, ბაბინეს, მოგონების აღსანიშნავათ.

—

მოქალაქე ალექსანდრე ცეცხლაძემ სამი თვით გამოუწერა რუსული გაზეთი „ბორბა" ჯარისკაცს ივლიანე ალექს. ცეცხლაძეს.

—

მივიღეთ პარმენ ჯანელიძის მიერ შეგროვილი „ერთობის" ფონდის გასაძლიერებლათ 24 მ. 90 კაპ.

—

ოლღა მეგრელიშვილი გარკუნენკოსმა გამოწერა ჯარისკაცებს ჩვენი გაზეთი „ერთობა" თავის დედის ხსოვნის აღსანიშნავათ.

—

მოვაჭრე იაგორა ბოსტაშვილმა ღვინის და არყის ყიდვას თავი არ დაანება, ამისათვის სადგურ გურჯაანის რაიონულმა კომიტ დააჯარიმა ას[illegible] მანეთით. ჯარ კაცთა გაზეთის ფონდისათვის, რასაც ახლებით დანიშნულებისამებრ გადასცემათ.

კახეთის რკ. გზ. სადგურ გურჯაანის რაიონული კომიტეტი.

წერილები რედაქციის მიმართ.

ამხანაგების მინდობილობით გიგზავნ შეგროვილ წვლილს შემდეგი დაწესებულ გადასაცემათ: 11 მ. 50 კ. პეტროგრადის დიდი რევოლიუციის დროს დახოცილთა ცოლ შვილის სასარგებლოთ; 12 მ. 50 კ. ბრძოლ ველზე დახოცილთა სალდათების ცოლშვ თა სასარგებლოთ; 7 მ. გაზეთის გასაწერა

ამხ. მინდ. **ჯ. ქ. კოსტა პიტახია.**

მადლობას უცხადებთ ყველა იმ პირთ, რომელთაც მონაწილეობა მიიღეს 30 აპრ ქ. ოზურგეთში წარმოდგენის მოწყობაში, რომელიც გაიმართა ცნობილი გურიის რესპუბლიკის გასამართლების დროს გადასახლებულ და შემდეგ ტრაღიკულათ გარდაცვალებულ მოსე ნიკოლოზის ძე ტუღუშის ობლების სასარგებლოთ.

ნადია მოსეს ასული თოთიბაძისა.

მადლობას უცხადებთ ემილე თავართქილაძეს, რომელმაც ს. ჩ. ჭალაის უფ. წიგნთსაცავ სამკითხველოს მიწა შემოსწირა. აგრეთვე იმ პირთ, რომელთაც კეთილ ინებეს და თავიანთი წვლილი არ დაიშურეს ჭალაის უფასო სამკითხველოსთვის.

სამკ. გამგე **მ. პატარაია.**

ცნობები

ჯარის კაცების შესახებ.

ჯ. ქ. აბესალომ ლუკას ძე ქათამაძე მსახურობდა მეცამეტე კავკ. მსროლელთა პოლკში, მეთოთხმეტე როტაში. ცხრა თვეა მისი ამბავი არაფერი ვიცით, თუ ვინმემ იცის მის შესახებ გვაცნობეთ: ქ. ქუთაისი, გელათის ქუჩ. იაკობ მორჩაძე.

— ჯ. ქ. შალვა ლუკას ძე ძიმისტარიშვილი იმყოფებოდა კავკასიის მოქმედ ჯარში 528 მოძრავ საავათმყოფოში, დიდი ხანია მისი არაფერი ვიცით. გთხოვთ თუ ვინმემ რამე იცით მის შესახებ გვაცნობოთ შემდეგი მისამართით: სად. სუფსა, ს. ჩოჩხათი, ყარამან ძიმისტარიშვილს.

— გთხოვთ გვაცნობოთ სად იმყოფება ანდრია სოსიკოს ძე ჯოხარიძე, რომელიც მსახურებდა კავკ. ჯარში 83 სამხედრო სანიტარულ ტრანსპორტში. თელავის მაზრა, სოფ. კურდღელაურში ილიკო სოსიკოს ძე ჯოხარიძე.

— ჯ. ქ. ალექსანდრე ხარაიშვილი მსახურობდა 2 კავკ. პოგრ. პოლკში ქ. სოტინიში. მეხუთე თვეა რაც მისი ამბავი არ ვიცით. თუ ვინმემ რამე იცის მის შესახებ გვაცნობეთ შემდეგი მისამართით: ქ. ბაქო, 18 კავკ. მუშ. ბატალიონი 2 ბრიგადა, 5 როტა, ივანე ლომაძეს.

— **ბელიკლიუჩი** 118 ზაპასნი პოლკში ნაცნობი ქართველი სალდათები, ამხანაგები ვაუწყებთ მშობლებს, ნათესავებს და ამხანაგებს, რომ 28 აპრილს აქ სახადით გარდაიცვალა დაუვიწყარი ამხ. სამსონ მალარიშვილი, (შემოქმედის საზოგადოებიდგან, გურია). ამხ. მინდობილობით ნ. მეგრელიშვილი.

ჩვენი ფოსტა.

დამსწრეს. ყველა იმათ, ვისაც კი ეხება ამ ჟამათ სამხედრო სამსახური.

რედ.-გამომცემელი **ვლ. ზ. ბოხოხაძე.**

მატარებლების მიმოსვლა

ამიერ კავკასიის რკინის გზებზე
(ნაჩვენებია თფილისის დრო).

თფილისიდან გადის:

ბათუმისაკენ საჩ.	№ 8, 11	ს. 02	წ.	[illegible]
„ სამგზ.	„ 9, 10	„ 13	„	[illegible]
ბაქოსაკენ საჩქ.	„ 6, 11	„ 18	„	[illegible]
„ სამგზ.	„ 8, 8	„ 54	„	[illegible]
„ საფ.	„ 4, 9	„ 28	„	[illegible]
ყარსისაკენ სამ.	„ 4-8, 11	„ 18	„	[illegible]
თელავისაკენ	„ 7	7, „ 58	„	[illegible]

თფილისში მოდის:

ბათუმიდან სამ.	№ 10, 9	ს. 52	წ.	[illegible]
„ საფ.	„ 4, 2	„ 38	„	საღ.
ს.-მთრეჯ. სამ.	„ 20, 7	„ 49	„	[illegible]
„ „	„ 13, 10	„ 12	„	[illegible]
ბაქოდან საფ.	„ 8, 10	„ 02	„	[illegible]
„ სამგზ.	„ 7, 4	„ 12	„	[illegible]
„ საჩქ.	„ 5, 8	„ 48	„	[illegible]
თელავიდან	„ 3, 7	„ 58	„	საღ.

---

*) შემომწირველთა სია არ იბეჭდება უადგილობის გამო.

ქ. თფილისში, ოლღის, ქ. № 6, ს.-გაზეთების კანტორა და წიგნის მაღაზია

„განათლება"-ში

იყიდება უკეთესი ქართული წიგნები, რომლებიც გაეგზავნება მსურველთ ფულ[illegible] გამოგზავნისთანავე.

პროვინციის [illegible] აგენტებს გაეგზავნება აგრეთვე ყველა ადგილობრივი ჟურნალ-გაზეთები: „თანამედროვე აზრი", „ეშმაკის მათრახი", „თეატრი და ცხოვრება", „საქართველო", „ჟურნ. „განათლება", „[illegible]", „[illegible]", „ფაიქარი", რუსული ჟურნალი „დილა" და ყველა ახლად გამოსული წიგნები.

ფული და წერილები უნდა გამოიგზავნოს შემდეგი ადრესით: ТИФЛИСЪ ПОЧТОВЫЙ ЯЩИКЪ № 96, СИЛЬВЕСТРУ Р. ТАВАРТКИЛАДЗЕ. ტელეგრამის ადრესი ОЛЬГИНСКАЯ 6. ТАВАРТКИЛАДЗЕ.

სწრაფლ-მბეჭდავი სტამბა ვ. რუხაძისა გაბაევის შესახვევი № 1.